

1961/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



# უმაღლესი საბჭოს უწყებები

26

№ 24 (147)

30 აგვისტო

1961 წელი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

585/2


**სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
ბრძანებულებები და დადგენილებები**

**ბანუოფილება პირველი**

- 376. ხელშეკრულება საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის რევიზის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის.
- 377. საკონსულო კონვენცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის.
- 378. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლიტვის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
- 379. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც დაკავშირებულია ლიტვის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან.

**ბანუოფილება მეორე**

- 380. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დიდოსტატ მ. მ. ბოტუნიჩის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 381. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. ა. ტროფიშუკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 382. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის—სსრ კავშირის მინისტრის ლ. რ. კორნიეცის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 383. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრის ა. მ. შოსტალის მედლით „მამაცობისთვის“ დაჯილდოების შესახებ.



384. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის სერჟანტ ა. გ. კოლენსიკის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### ბანყოფილება მისამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევის რწმუნების სიგელები გადასცა ცელონის სივანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტ. ბ. სუბასინგემ.

### საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### ბანყოფილება პირველი

385. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „წერილმანი ზულიგნობისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულებაში დამატებათა შეტანის შესახებ.
386. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების სახალხო სასამართლოების გაერთიანების შესახებ.
387. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ სპატიო წოდების დაწესების შესახებ.

#### ბანყოფილება მეორე

388. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის ლეოვის რუსული დრამატული თეატრის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
389. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის ლეოვის რუსული დრამატული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
390. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
391. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამთო მრეწველობის მოწინავე მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

#### ბანყოფილება მისამე

საინფორმაციო ცნობა.



ბანქოფილება პირველი

ხ ე ლ უ მ ე კ რ უ ლ ე ბ ა

**376** საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანაფარდობისა და ურთიერთდახმარების უმსახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ სურთ რა განსაზღვრონ ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჯეროვან წესრიგზე იყოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი და სასაზღვრო საკითხების რეგულირება თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების სულისკვეთებით, გადაწყვიტეს ამ მიზნით დადონ ეს ხელშეკრულება და ამისათვის თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ —  
ი. კ. ჟეგალინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში,

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ — ა. მელნეშანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც ჯეროვან ფორმაში და სათანადო წესრიგზე აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე.

ბანქოფილება I

საზღვრის ხაზის გატარება, სასაზღვრო ნიშნები და საზღვრის მოვლა

მუხლი 1

1. სახელმწიფო საზღვრის ხაზი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, დადგენილი რუმინეთის საზავო ხელშეკრულების I მუხლის შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 1947 წლის 15 სექტემბერს, და 1948 წლის 4 თებერვალს მოსკოვში ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის ხაზის გატარების დახუსტების შესახებ, ადგილზე გადის ისე, როგორც იგი განსაზღვრულია:

ა) სასაზღვრო ნიშან „ტურის“ დოკუმენტებში, რომელიც დადგმულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების შესაყარზე და რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის საწყის პუნქტს; ამ დოკუმენტებს 1949 წლის 30 ივლისს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის რედემარკაციის საბჭოთა კავშირ-უნგრეთის შერეულმა კომისიამ და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის რუმინეთის სადემარკაციო დელეგაციამ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის შერეულ კომისიაში;

ბ) დემარკაციის დოკუმენტებში, რომლებიც ხელმოწერილია ბუქარესტში საბჭოთა კავშირ-რუმინეთის შერეული კომისიის მიერ 1949 წლის 27 სექტემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის შესახებ;

გ) საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის დოკუმენტების დანართებსა და დამატებებში, რომლებიც შეიძლება დადებულ იქნას ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

შემდეგში ამ ხელშეკრულებაში სახელმწიფო საზღვრის ხაზს ეწოდება „საზღვარი“ ან „საზღვრის ხაზი“.

2. დემარკაციის დოკუმენტებს წარმოადგენს:

ა) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის ხაზის გატარების ოქმი — აღწერა სასაზღვრო ნიშნიდან „ტური“, რომელიც დადგმულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შესაყარზე, № 1439 სასაზღვრო ნიშნამდე, რომელიც დადგმულია შავ ზღვაში;

ბ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფო სასაზღვრო ხაზის რუქები;

გ) სასაზღვრო ნიშნების ოქმები სქემა-კროკებით, აგრეთვე მათი შესაბამისი დანართები და დამატებანი.

## მუხლი 2

საზღვრის ხაზი, განსაზღვრული ამ ხელშეკრულების 1 მუხლში აღნიშნულ დოკუმენტებში, ვერტიკალური მიმართულებით გამოიხაავს აგრეთვე საჰაერო სივრცეს და წიაღს.

## მუხლი 3

1. სახმელეთო უბნებზე, აგრეთვე საზღვრის ხაზით გადაკვეთილ დამდვარ და გამდინარე წყლებზე საზღვარი ვადის უძრავად სწორი ხაზით თანმიმდევრობით ერთი სასაზღვრო ნიშნიდან მეორემდე — გრანიტისა და რკინაბეტონის ცენტრებზე („კოპცებზე“).



2. სასაზღვრო გამდინარე წყლების უზნებზე საზღვარი გადის მათ გასწვრივ მოძრავად სწორი, ტეხილი ან მრუდი ხაზით, აგრეთვე თანმიმდევრული ერთი სასაზღვრო ნიშნიდან მეორემდე: არასანაოსნო მდინარეებზე, ნაკადულებზე, ხევებზე, თხრილებზე და არხებზე — მათ შუაზე ან მთავარი ტოტის შუაზე, სანაოსნო მდინარეებზე — მათი მთავარი სანავიგაციო ფარვატერის შუაზე.

3. სახმელეთო უზნებზე და სასაზღვრო გამდინარე წყლების უზნებზე საზღვრის ხაზის დეტალური ვატარება ნაჩვენებია 1948—1949 წლების დემარკაციის დოკუმენტებში.

4. კუნძულები სასაზღვრო მდინარეებზე ტერიტორიულად მიეკუთვნება ამა თუ იმ მხარეს იმისდა მიხედვით, თუ როგორ მდებარეობენ ისინი საზღვრის ხაზის მიმართ. კუნძულები, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი სახელი დემარკაციის დოკუმენტებში დანომრილია რიგის მიხედვით ყოველ მდინარეზე ცალკე დაწყებული № 1-დან.

#### მუხლი 4

1. სანაოსნო მდინარეებზე საზღვრის ხაზის ვატარება იცვლება მათი მთავარი სანავიგაციო ფარვატერის შუა ადგილის ბუნებრივი ცვლილებების შესაბამისად.

2. არასანაოსნო მდინარეებზე, ნაკადულებზე და არხებზე საზღვრის ხაზის ვატარება იცვლება მათი შუა ადგილის გადაადგილების შესაბამისად, რაც გამოწვეულია ამ მდინარეების, ნაკადულებისა და არხების ნაპირების კონფიგურაციის ბუნებრივი ცვლილებებით.

3. საზღვრის ხაზის, რომელიც გადის მდინარის, ნაკადულის ან არხის შუაზე, განსაზღვრის დროს მხედველობაში არ მიიღება მდინარეზე, ნაკადულზე ან არხზე არსებული ყურეები და ასეთ შემთხვევებში ამ მდინარეების, ნაკადულებისა და არხების შუად ითვლება გასწორებული ხაზი, რომელიც ერთნაირად დაშორებულია ორივე ნაპირის შესაბამისად გასწორებულ ხაზთან. იქ სადაც შესაძლებელი არ არის ზუსტად განისაზღვროს ნაპირების ეს ხაზი, ამ პუნქტში ჩამოთვლილ სასაზღვრო გამდინარე წყლების შუად ითვლება წყლის ზედაპირის შუა წყლის საშუალო დონის დროს.

4. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტში აღნიშნულ ცვლილებებს საპირობისდა მიხედვით, ერთად დაადასტურებენ ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი.

დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სასაზღვრო მდინარეების, ნაკადულებისა და არხების ან სანაოსნო მდინარეების მთავარი სანავიგაციო ფარვატერის შუა ადგილის მდგომარეობის ცვლილებას, დემარკაციის ძირითად დოკუმენტებს არ ერთვის, არამედ ინახება ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფლებთან, რომლებიც ემსახურებიან საზღვრის ამ უზნას.

5. სასაზღვრო მდინარეების, ნაკადულების ან არხების კალაპოტის ცვლილება სტიქიური ბუნებრივი მოვლენების შედეგად, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს მიწის სავარგულების, დასახლებული პუნქტების, ღირებულების მქონე



ნაგებობების, შენობებისა და ა. შ. ტერიტორიული კუთვნილების შეცვლა, ცვლის გატარებულ საზღვრის ხაზს, თუ ხელშეკრულების დამდები მხარეების საზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმების სამუშაოების ჩატარების დროს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების 5 მუხლით, არ შეთანხმდებიან სხვაზე.

6. ბუნებრივი მოვლენების შედეგად მთავარი სანაფიგაციო ფარვატერის შუა ადგილის შეცვლის ან არასანაოსნო მდინარეების, ნაკადულების ან არხების შუა ადგილის შეცვლის შემთხვევებში, საზღვრის ხაზის გატარება და სასაზღვრო მდინარეებზე არსებული კუნძულების ტერიტორიული კუთვნილება, საზღვრის დემარკაციის არსებული დოკუმენტების შესაბამისად, არ იცვლება სათანადო ხელისუფალთა მიერ მომხდარი ცვლილების ერთად დადგენამდე და მოთხოვნათა შესრულებამდე, რომელიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების 5 მუხლით.

7. ამ მუხლის 5 პუნქტში აღნიშნული ცვლილებების შემთხვევაში და თუ შეუძლებელია მიღებულ იქნას ამ ხელშეკრულების 16 მუხლის 5 პუნქტში აღნიშნული ღონისძიებები, საზღვრის ხაზი, თუ აღმოჩნდება რომ იგი კვლავ აღარ გადის მდინარეზე, ნაკადულზე ან არხზე, უნდა განისაზღვროს სასაზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმების სამუშაოების განხორციელების დროს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების 5 მუხლით.

**მუხლი 5**

1. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ყოველი 10 წლის შემდეგ, დაწყებული 1961 წლიდან, სასაზღვრო მდინარეებზე, ნაკადულებზე ან არხებზე განხორციელებენ საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმებას ადგილზე გაზომვებისა და სხვა სამუშაოების გზით. თუ წარმოიშვება აუცილებლობა, მაშინ საზღვრის ცალკეულ უბნებზე ასეთი შემოწმებები შეიძლება განხორციელდეს ადრეც, ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის სათანადო ხელისუფალთა წინადადებით.

2. სასაზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმება წარმოებს ზაფხულში. ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმების დაწყების შესახებ შეთანხმდებიან ადრევე იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მხარეს საშუალება ჰქონდეს განხორციელოს ამისათვის საჭირო ყველა მოსაზრადებელი სამუშაოები.

3. მდინარეების, ნაკადულებისა და არხების ცალკეულ უბნებზე, 1948—1949 წლების დემარკაციის დოკუმენტებში მოყვანილ დებულებებთან შედარებით საზღვრის ხაზის გატარების ცვლილებების დადგენის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ატარებენ საზღვრის ახალ ხაზს და განსაზღვრავენ საზღვრის ამ უბანზე არსებულ კუნძულების კუთვნილებას.

კუნძულები სასაზღვრო მდინარეებზე ტერიტორიულად მიეკუთვნება ერთ ან მეორე მხარეს იმისდა მიხედვით თუ როგორ მდებარეობენ ისინი საზღვრის

ხაზის მიმართ და დემარკაციის ახალ დოკუმენტებში დაინოზრებიაწ რიგითი ნომრებით.



4. მდინარეების, ნაკადულებისა და არხების უზნებზე, სადაც მოხდა ცვლილებანი საზღვრის ხაზის გატარებაში, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ადგენენ ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და რუმინულ ენებზე, ახალ სადემარკაციო დოკუმენტებს, დემარკაციის იმ დოკუმენტების შესაბამისად, რომლებიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების 1 მუხლში.

5. სასაზღვრო წყლების უზნების ახალი სადემარკაციო დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა მიერ, დამტკიცებულ უნდა იქნას ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მთავრობათა მიერ და ძალაში შევა მათი დამტკიცების შესახებ ცნობების გაცვლის დღიდან.

6. ამ მუხლის 5 პუნქტში აღნიშნული ახალი დოკუმენტები მდინარეების, ნაკადულებისა და არხების ცალკეულ უბანზე, შეცვლიან 1948 — 1949 წლების დემარკაციის დოკუმენტებს ამ უბნებზე.

7. აღნიშნულ სამუშაოთა საწარმოებლად ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი თითოეული მხარიდან პარიტეტულ საწყისებზე მოიწვევენ ექსპერტებს, სპეციალისტებსა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო სხვა პირებს.

ამ სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები თანაბრად განაწილდება ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შორის.

### მუხლი 6

1. საზღვარი ადგილზე აღნიშნულია სასაზღვრო ნიშნებით, რომლებიც აღნიშნულია საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის 1948 — 1949 წლების დემარკაციის დოკუმენტებში და დოკუმენტებში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შესაყარზე.

2. ხის სასაზღვრო ბოძები, რომლებიც საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვარზე დადგმულია დემარკაციის დროს 1948 — 1949 წლებში, მათი მწყობრიდან გამოსვლისდა მიხედვით შეცვლილ იქნება რკინაბეტონის ბოძებით.

3. ყოველი სასაზღვრო ნიშნის დახასიათება და მისი მდებარეობა საზღვრის ხაზის მიმართ განისაზღვრება შესაბამისი სადემარკაციო დოკუმენტებით, დოკუმენტებით სახელმწიფო საზღვრების შესაყარზე და ახალი დოკუმენტებით, რომლებიც შედგენილ იქნება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

### მუხლი 7

ხელშეკრულების დამდები მხარეები კისრულობენ საზღვრის ხაზის აღსანიშნავად დადგმული სასაზღვრო ნიშნების, აგრეთვე სასაზღვრო განაკაფების მოვლას ისეთი წესით, რომ ნიშნების ადგილმდებარეობა, სახეობა, ფორმა და



ფერი, განაკაფების სიგანე და სისუფთავე შეესაბამებოდეს საზღვრის დემარკაციის 1948 — 1949 წლების დოკუმენტების და ახალი დოკუმენტების მოთხოვნას, რომლებიც ამ ხელშეკრულების 6 მუხლის 2 პუნქტის საფუძველზე შედგენილ იქნება ბოძების შეცვლასთან დაკავშირებით.

### მუხლი 8

სასაზღვრო ნიშნები მოსავლელად ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად:

1. ხისა და რკინაბეტონის სასაზღვრო ბოძების და მიმართულების ნიშნების მოვლას უზრუნველყოფს ის მხარე, რომლის ტერიტორიაზეც არის დადგმული აღნიშნული სასაზღვრო ბოძები და მიმართულების ნიშნები.

2. გრანიტისა და რკინაბეტონის ცენტრების („კოპცების“), ტივტივისა და ნიშანსვეტის მოვლას, რომლებიც დადგმულია ზედ სახელმწიფოს საზღვრის ხაზზე, კისრულობენ:

ლუწი ნუმერაციის ნიშნებისას — საბჭოთა მხარე;

კენტა ნუმერაციის ნიშნებისას — რუმინეთის მხარე.

### მუხლი 9

1. ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის სათანადო ხელისუფალნი აწარმოებენ სასაზღვრო ნიშნების მდგომარეობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერებას ამ ხელშეკრულების 8 მუხლის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებისამებრ. გარდა ცალმხრივი დათვალიერებისა, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფლებმა ორ წელიწადში ერთხელ ერთად უნდა აწარმოონ სასაზღვრო ნიშნების საკონტროლო დათვალიერება.

2. სასაზღვრო ნიშნების საკონტროლო დათვალიერება ერთად იწარმოებს ზაფხულში. სასაზღვრო ნიშნების ერთად საკონტროლო დათვალიერების დაწყების შესახებ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებიან თითოეულ შემთხვევაში.

3. სასაზღვრო ნიშნების დამატებით ერთად დათვალიერების საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი ამის შესახებ წერილობით აუწყებენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ. სასაზღვრო ნიშნების დამატებით ერთად დათვალიერება უნდა დაიწყოს არა უგვიანეს ათი დღისა ასეთი შეტყობინების მიღების მომენტიდან.

4. იმ შემთხვევაში, თუ დათვალიერების დროს დადგენილ იქნება, რომ დემარკაციის დოკუმენტებში არსებული გაზომვათა მონაცემები არ დაემთხვევიან მონაცემებს, რომლებიც მიღებულია ადგილზე ერთად გაზომვის გზით, და თუ დადგენილ იქნება, რომ სასაზღვრო ნიშნების მდგომარეობა დემარკაციის მომენტიდან არ შეცვლილა, გადამწყვეტად ჩაითვლება ადგილზე გაზომვების მონაცემები.



5. საზღვრის დემარკაციის დოკუმენტების შესწორებები და დამატებები ხდება ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის შეთანხმებით და დაერთვის ამ დოკუმენტებს.

6. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენელი საკონტროლო დათვალიერების დამთავრების შემდეგ ადგენენ აქტს ორ ეგზემპლარად, თითოეულს რუსულ და რუმინულ ენებზე.

## მუხლი 10

1. სასაზღვრო ნიშნის მთლიანად ან მისი ნაწილის დაკარგვის, დანგრევის ან დაზიანების შემთხვევაში, მისი აღდგენა ან გასწორება წარმოებს დაუყოვნებლივ იმ მხარის სათანადო ხელისუფალთა მიერ, რომლის ტერიტორიაზეც დადგმულია ეს ნიშანი ან რომელზეც მიმავრებულია იგი. სასაზღვრო ნიშნების აღსადგენად ან შესაკეთებლად სამუშაოთა დაწყების შესახებ ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი ვალდებული არიან წერილობით აუწყონ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა არა უგვიანეს ათი დღისა სამუშაოთა დაწყებამდე.

2. დაკარგული, დანგრეული ან დაზიანებული სასაზღვრო ნიშნების აღდგენას აწარმოებს ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების თანდასწრებით.

3. სასაზღვრო ნიშნის აღდგენის ან შეკეთების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მისი ადგილმდებარეობა არ შეიცვალოს. ამისათვის სახელმძღვანელოდ გამოყენებულ უნდა იქნას დემარკაციის დოკუმენტები; მათში არსებული მონაცემები უნდა შემოწმდეს ადგილზე საკონტროლო გაზომვებით.

4. საზღვრის წყლის უბნებზე, წყალდიდობით ან ყინულისგლით დაზიანებული ან განადგურებული სასაზღვრო ბოძების აღდგენის ან აგების დროს, დაშვებულია მათი ადრინდელი ადგილმდებარეობის შეცვლა, თვით საზღვრის ხაზის გატარების შეუცვლელად და ახლად დაყენება იმ წერტილებში, სადაც სასაზღვრო ბოძების დაცვა გარანტირებულია. სასაზღვრო ბოძებს ახალ ადგილზე გადატანა საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია აგრეთვე საზღვრის ხევებიან უბნებზეც. სასაზღვრო ბოძების ადგილმდებარეობის აღნიშნული ცვლილებები საზღვრის წყლისა და ხევებიან უბნებზე წარმოებს ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა შეთანხმებით.

5. ახალ ადგილზე სასაზღვრო ნიშნის აღსადგენად, შესაკეთებლად ან ასაგებად ჩატარებული სამუშაოების შესახებ ხელშეკრულების დამდები მხარეები ადგენენ აქტს ორ ეგზემპლარად, თითოეულს რუსულ და რუმინულ ენებზე.

ახალ ადგილზე აგებულ თითოეულ სასაზღვრო ნიშანზე, ამას გარდა, ერთი თვის განმავლობაში შედგება სასაზღვრო ნიშნის ოქმი და სქემა — კროკი, რომლებიც მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს დემარკაციის დანარჩენ დოკუმენტებს და დაერთვის მათ.

6. საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთ შეუძლიათ ურთიერთ შეთანხმებით საზღვრის დააყენონ დამატებითი სასაზღვრო ნიშნები, თუ ამასთან არ შეიცვლება საზღვრის ხაზის თვით გატარება.

საზღვარზე დამატებით დადგმული სასაზღვრო ნიშნები უნდა გაფორმდეს დოკუმენტებით, რომლებიც აღნიშნულია ამ მუხლის 5 პუნქტში.

7. აღდგენის დროს ახლად დამზადებული, აგრეთვე სასაზღვრო ნიშნები, რომლებსაც ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი დამატებით დადგამენ საზღვარზე უნდა შეესაბამებოდეს ნიმუშებს, რომლებიც განსაზღვრულია მხარეთა შორის დადებული მოქმედი შეთანხმებებით.

8. ამ ხელშეკრულების 8 მუხლის შესაბამისად, ამა თუ იმ მხარეზე მიმაგრებული სასაზღვრო ნიშნების შესაკეთებელ სამუშაოებს ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე აწარმოებს დამოუკიდებლად, მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე.

9. ხელშეკრულების დამდები მხარეები მიიღებენ ზომებს სასაზღვრო ნიშნების სათანადოდ დასაცავად და პასუხისგებაში მისცემენ იმ პირებს, რომლებიც ცნობილ იქნებიან დამნაშავედ სასაზღვრო ნიშნების გადაადგილებაში დაზიანებასა და მოსპობაში. ასეთ შემთხვევებში მეორე მხარის მცხოვრებთა მიერ დაზიანებული ან მოსპობილი სასაზღვრო ნიშნები აღდგენილ უნდა იქნას ამ მხარის ხარჯზე.

## მუხლი 11

1. სასაზღვრო განაკაფი 10 მეტრის სიგანით (საზღვრის ხაზიდან თითოეულ მხარეს 5-5 მეტრი, ხეების ტოტებამდე ჩათვლით) უნდა იმყოფებოდეს სრულ წესრიგში და საჭიროებისდა მიხედვით უნდა გაიწმინდოს ბუჩქნარისა და ხილვადობის სხვა ხელშემშლელი ბარდებისაგან. განაკაფზე მიწის გადახვნა დაუწევბელია, თუ ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი არ შეთანხმდნენ სხვაზე.

2. ყოველი მხარე ასუფთავებს სასაზღვრო განაკაფს თავის ტერიტორიაზე. ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ერთმანეთს აცნობებენ სასაზღვრო განაკაფის მომავალი გასასუფთავებელი სამუშაოების დაწყების შესახებ არა უგვიანეს ათი დღისა. ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ ამ სამუშაოებს.

## მუხლი 12

1. საზღვრის სახმელეთო უბნებზე, 10 მეტრის სიგანის ზოლში (საზღვრის ხაზიდან თითოეულ მხარეს 5-5 მეტრი) არ უნდა იყოს არავითარი ნაგებობანი და შენობები. ხელშეკრულების დამდები მხარეები მიიღებენ ღონისძიებებს და ამ ზოლის თანდათანობით გასათავისუფლებლად ამკამად არსებული ნაგებობებისა და შენობებისაგან და აკრძალავენ ახლის აგებას. ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალთ ურთიერთ შეთანხმებით შეუძლიათ

დაუშვან გამოწავლისი. ეს დადგენილებები არ გავრცელდება იმ ნაგებობებზე და შენობებზე, რომლებიც განკუთვნილია საზღვრის დაცვისათვის.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები იზრუნებენ იმის შესახებ, რომ საზღვრის ხაზთან უშუალოდ ახლო მდებარე ნაგებობანი და შენობები, როგორც დატოვებული, ისე ახლად ასაგები პასუხობდნენ ხანძრის საწინააღმდეგო წესების მოთხოვნილებებს. ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი ურთიერთ შორის ცვლიან ამ წესებს.

## განყოფილება II

### სასაზღვრო წყლებით და საზღვრის ხაზის გადაშვებითი რკინიგზებითა და გზატკეცილებით სარგებლობის წესი

#### მუხლი 13

1. ყველა მდინარე, ნაკადული, არხი და ზღვის წყლები იმ უბნების ფარგლებში, რომლებზედაც გადის საზღვრის ხაზი, ითვლება სასაზღვრო წყლებად.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები მიიღებენ სათანადო ზომებს იმისათვის რომ სასაზღვრო წყლებით სარგებლობის დროს დაცულ იქნას ამ ხელშეკრულების დადგენილებები და პატივი სცენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის შესაბამის უფლებებსა და ინტერესებს.

#### მუხლი 14

1. სასაზღვრო მდინარეებზე, სადაც საზღვრის ხაზი გადის მთავარი სანავიგაციო ფარვატერის შუაზე, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის თვითმავალ სანაოსნო საშუალებებს ეძლევათ უფლება ფარვატერზე დაუბრკოლებელი ცურვისა, მასზე საზღვრის ხაზის გავლის დამოუკიდებლად. ნაგებს უფლება აქვთ იცურონ მხოლოდ საზღვრის ხაზამდე.

2. გემების (ნაგების) ცურვა დადგენილი საზღვრის ზღვის უბანზე ნებადართულია მხოლოდ ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის რეჟიმის დაცვით.

3. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის მონაოსნე გემებს (ნაგებს) შეუძლიათ მოადგნენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის მდინარის ნაპირს ან ზღვის ნაპირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმყოფებიან გაჭირვებაში (ღელვა, ავარია და ა. შ.). ასეთ შემთხვევაში შესაბამისი მესაზღვრე ხელისუფალნი ერთმანეთს გაუწევენ საჭირო დახმარებას.

#### მუხლი 15

1. ხელშეკრულების დამდებ მხარეთა თვითმავალ სანაოსნო საშუალებებს სასაზღვრო წყლებში ნაოსნობის უფლება ეძლევათ დღე-ღამის განმავლობაში.

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა არათვითმავალ სანაოსნო საშუალებებს, რომლებიც ბუქსირით მიყვებიან თვითმავალ გემებს, სასაზღვრო წყლებში ნაოსნობის უფლება ეძლევათ აგრეთვე დღე-ღამის განმავლობაში.

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა არათვითმავალ სანაოსნო საშუალებებს, როგორც არის: ნავეები, ტივები და კარჭაპები, რომლებიც ბუქსირით არ მიყვებიან თვითმავალ გემებს, სასაზღვრო წყლებში ნაოსნობის უფლება ეძლევათ მხოლოდ დღისით. ღამით ისინი უნდა იყვნენ თავისი ნაპირის ნავსაბელოში ან ღუზაზე თავის წყლებში. ეს წესი არ ვრცელდება იმ სანაოსნო საშუალებებზე, რომლებიც საჭიროა საზღვრის დაცვისათვის.

დღედ ითვლება დრო მზის ამოსვლამდე ნახევარი საათის მომენტიდან მზის ჩასვლის შემდეგ ნახევარი საათის მომენტამდე.

2. სასაზღვრო წყლებში მონაოსნე ყველა სანაოსნო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ: თვითმავალ გემებს და არათვითმავალ კარჭაპებს — თავისი სახელმწიფოს შესაბამისი ალაში და სახელწოდება ან ნომერი, რომლებიც მინიჭებული აქვთ მათ; ნავეებს — ცხვირზე და კიჩოზე სახელმწიფო ალმის ფერი ზოლები და ნომრები, რომლებიც მინიჭებული აქვს მათ. ღამით ყველა სანაოსნო საშუალებას უნდა ჰქონდეს სინათლეები.

3. სანაოსნო საშუალებებს, რომლებიც ცურავენ სასაზღვრო წყლების მთავარ სანავიგაციო ფარვატერზე, უფლება არა აქვთ გაჩერდნენ ღუზაზე მის შუაზე.

4. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სანაოსნო საშუალებანი, რომლებიც ცურავენ სასაზღვრო მდინარის მთავარ სანავიგაციო ფარვატერზე, ამ მუხლის 1 და 2 პუნქტში გათვალისწინებული წესების დაცვით, არ შეიძლება დაკავებულ იქნას ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ხელისუფალთა მიერ ან იძულებულნი დადგნენ ღუზაზე, ნავსაბელოთან, აგრეთვე გასინჯონ ან შეამოწონ საბუთები.

## მუხლი 16

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები იზრუნებენ იმისათვის, რომ სასაზღვრო წყლები იქონიონ სათანადო წესრიგში. ისინი მიიღებენ აგრეთვე ზომებს სასაზღვრო წყლების ნაპირების განზრახ დანგრევის თავიდან ასაცილებლად.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის მიზნით, ამ მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნილებათა შეუსრულებლობის შედეგად, მატერიალურად დაზარალებდა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე, მაშინ ამ ზარალს აანაზღაურებს ის მხარე, რომელმაც მიაყენა ეს ზარალი.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლების მდებარეობა და მიმართულება შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულ უნდა იქნას უცვლელად. ამ მიზნით ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი ერთად განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი დაბრკოლებანი, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სასაზღვრო მდინარეებისა და ნაკადულების კალაპოტის მდებარეობის ან არხების მდებარეობის შეცვლა; აგ-



რეთვე შეაფერხონ მათი ბუნებრივი დინება. ამისათვის საჭირო სამუშაოების ერთად წარმოების შემთხვევაში, ასეთ სამუშაოთა წესს ადგენს ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი, ამასთან ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის წარმოებასთან, თანაბრად ნაწილდება ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შორის, თუ ამ საკითხზე მიღწეული არ იქნება განსაკუთრებული შეთანხმება.

4. სასაზღვრო მდინარეებისა და ნაკადულების კალაპოტის მდებარეობის ან არხების მდებარეობის შეცვლის თავიდან აცილების მიზნით მათი ნაპირები გამაგრებულ უნდა იქნას იქ, სადაც ამას საჭიროდ ცნობენ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი. ამ სამუშაოებს აწარმოებს და შესაბამის ხარჯებს იღებს ის მხარე, რომელსაც ეკუთვნის ნაპირი.

5. სასაზღვრო მდინარეებისა და ნაკადულების კალაპოტის მდებარეობის ან არხების მდებარეობის ბუნებრივი გზით ან სტიქიური მოვლენის შედეგად ცვლილების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებული არიან ერთად და თანაბარ საწყისებზე აწარმოონ კალაპოტის გასწორება, თუ ეს საჭიროდ იქნება მიჩნეული. ამ სამუშაოებს აწარმოებენ შერეული კომისიები, რდამეცაა ქმნიან ხელშეკრულების დამდები მხარეები, რომლებიც ადგენენ სამუშაოთა, მუშა ხელის დაქირავების, საჭირო მასალების შექმნის წესს, აგრეთვე ხარჯების დაფარვის წესს.

### მუხლი 17

1. სასაზღვრო გამდინარე წყლებში და მის ახლო მდებარე ადგილებში, რომლებიც წყალდიდობის დროს წყლით იფარება, წყლის ბუნებრივი დინება მეორე მხარის საზიანოდ არ შეიძლება შეიცვალოს ან შეფერხებულ იქნას ნაგებობებისა და შენობების აგებით ან გადაკეთებით როგორც წყალზე, ისე მის ნაპირზე.

2. ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებიან სასაზღვრო წყლებში დინების მოწყობისა და მათგან წყლის გადაადგების წესის შესახებ, აგრეთვე ყველა სხვა საკითხებზე, რომლებიც მიეკუთვნება სასაზღვრო წყლების რეჟიმს.

### მუხლი 18

1. სასაზღვრო გამდინარე წყლები უნდა გაიწმინდოს იმ უბნებზე, სადაც ამას ერთად საჭიროდ ცნობს ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი. ასეთ შემთხვევებში გაწმენდის ხარჯები თანაბრად განაწილება ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შორის.

2. სასაზღვრო წყლების იმ უბნების გაწმენდას, რომლებიც მთლიანად ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის ტერიტორიაზე მდებარეობს, ეს მხარე აწარმოებს თავის ხარჯზე საჭიროებისა და მიხედვით.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლების გაწმენდის დროს ამოღებული გრუნტი უნდა დაიყაროს ნაპირზე ან მდინარეზე გრუნტის დასაყრელ ადგილებში იმ

ანგარიშით, რომ არ გამოიწვიოს ნაპირების ჩამონგრევა ან კალაპოტის დანაგვე  
ანება და რომ წყლის დინება წყალდიდობის დროს არ შეფერხდეს.



### მუხლი 19

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი მიიღებენ ზომებს, რათა სასაზღვრო წყლები დაცულ იქნას სათანადოდ სუფთად, რომ არ დაუშვან მათი მოწამვლა ან გაბინძურება მყავეებით და საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა ნარჩენებით, აგრეთვე ყოველგვარი სხვა წესებით დანაგვიანება.

### მუხლი 20

1. სასაზღვრო გამდინარე წყლებზე არსებული ხიდები, ჯებირები და მსგავსი ნაგებობანი დაცულ იქნება და შეიძლება მათი ექსპლუატაცია, ისეთების გამოკლებით, რომელთა მოშლა საჭიროდ იქნება მიჩნეული ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მიერ.

2. ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ ნაგებობათა მოშლის ან ხელახლა მოწყობის საჭიროების შემთხვევაში, რაც გამოიწვევს წყლის დონის შეცვლას ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, შესაბამის სამუშაოთა დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება ამ მხარის თანხმობა.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლებზე ახალი ხიდების, კაშხალების, რაბების, ჯებირებისა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აგება, აგრეთვე მათი ექსპლუატაცია იწარმოებს მხოლოდ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის შეთანხმებით.

### მუხლი 21

1. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ადასტურებს 1948—1949 წლების დემარკაციით დადგენილ დებულებას იმის შესახებ, რომ ხიდები საზღვრის ხაზით იყოფა მდინარის შუაზე, წყალზე საზღვრის ხაზის გატარებისაგან დამოუკიდებლად.

2. ხიდები, რომლებზეც დაშვებულია მოძრაობა და კვეთენ საზღვარს უნდა იყოს წესრიგზე და მათ შეკეთებას აწარმოებს ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თავის ანგარიშზე ხიდზე გავლებულ საზღვრის ხაზამდე, თუ ამ საკითხზე მიღწეული არ იქნება განსაკუთრებული შეთანხმება. შეკეთების წესის, ვადებისა და ხასიათის შესახებ ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდებიან წინასწარ.

3. ხელშეკრულების დამდებ თითოეულ მხარეს, საჭიროებისდა მიხედვით, შეუძლია აწარმოოს ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე მდებარე სასაზღვრო ხიდების ნაწილების ტექნიკური დათვალიერება; ამ მხარის სათანადო ხელისუფალთ არა უგვიანეს 48 საათისა უნდა ეცნობოს სავა-

რაულო დათვალიერების შესახებ, მისი დაწყების ვადის ჩვენებით, ხოლო დათვალიერების შემდეგ — მისი შედეგების შესახებ; ამასთან დათვალიერება მოებს ამ მხარის სათანადო ხელისუფალთა თანდასწრებით.

4. სასაზღვრო ხიდეზზე და სხვა გასასვლელზე მოძრაობის წესი დადგინდება სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების შეთანხმებით.

5. ამ მუხლის დადგენილებები არ ეხება რკინიგზის ხიდეზს.

6. ახალი ხიდეზის, ნაგებობის ან ბორნების აგება წარმოებს ხელშეკრულების დამდებ მხარეთა წარმომადგენლების შეთანხმებით. ეს წარმომადგენელი წინასწარ მოილაპარაკებენ მშენებლობის ადგილის შესახებ, ხიდის, ნაგებობის ან ბორნის ტიპის შესახებ და ამ ხიდეზის, ნაგებობების ან ბორნების მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების წესის შესახებ. ოქმებს, რომლებიც ადგენენ ასეთ შეთანხმებებს, ამტკიცებენ შესაბამისი ინსტანციები.

## მუხლი 22

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ურთიერთ-შორის და დროულად გაცვლიან მონაცემებს სასაზღვრო წყლებში წყლის დონისა და ყინულის მდგომარეობის შესახებ, რომლებითაც დაინტერესებული არიან ხელშეკრულების დამდები მხარეები, თუ ასეთი მონაცემებით შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას წყალდიდობითა და ყინულთსვლით შექმნილი საფრთხე. საჭიროების დროს ეს ხელისუფალნი აგრეთვე შეთანხმდებიან წყალდიდობისა და ყინულთსვლის დროს რეგულარული სიგნალიზაციის შესახებ. ასეთი მონაცემების შეტყობინების შეფერხება ან მათი არ გამოგზავნა არ შექმნიან მოთხოვნის წარდგენის საფუძველს წყალდიდობით ან ყინულთსვლით მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ.

## მუხლი 23

1. სასაზღვრო გამდინარე წყლების მთელ მანძილზე, იმ ადგილების ჩათვლითაც, სადაც ორივე ნაპირი ეკუთვნის ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მხარეს, ორივე მხარისათვის ხე-ტყის მასალის დაცურება იწარმოებს დაუბრკოლებლად.

2. ხე-ტყის მასალის წყალში ჩაშვების და მისი დაცურების ვადები და რიგი, ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, დადგინდება ყოველ წელს ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფლების მიერ წინასწარ და, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს ორი თვისა სასაზღვრო გამდინარე წყლებზე ნავიგაციის დაწყებამდე. დასაცურებელი სამუშაოების დაწყების დღის შესახებ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ერთმანეთს აცნობებენ არა უგვიანეს 5 დღისა.

## მუხლი 24

1. ხე-ტყის მასალების ნორმალურად დაცურების უზრუნველსაყოფად, ამ ხელშეკრულების 51 მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალთა ურთიერთ შორის შეთანხმებით შეუქლიათ დაუშვან მუშების მოსაზღვრე ნაპირზე გადასვლა და იქ მიმოსვლა ხე-



ტყის გატარებისათვის დროებითი დასაცურებელი ნაგებობების შესაქმნელად და ამ ნაპირის დასაცურებელი მერქნისაგან გასაწმენდად.



2. ადგილის, დროისა და მუშების რაოდენობის შესახებ, რომელთათვის მოსაზღვრე ნაპირზე გადასვლა საჭიროა სამუშაოთა შესასრულებლად, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის 1 პუნქტით, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებიან წინასწარ, ე. ი. არა უგვიანეს 5 დღისა სამუშაოთა დაწყებამდე.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლებით დაცურებული ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის ხე-ტყის მასალები არ დაიბეგრებიან არავითარი საბაჟო გადასახადებით და სხვა გამოსაღებებით.

### მუხლი 25

1. ყველა დასაცურებელი ხე-ტყის მასალა დატვიფრულ უნდა იქნას, რისთვისაც ხელშეკრულების დამდებ მხარეთა წარმომადგენელნი ურთიერთშორის შეთანხმებით წინასწარ ადგენენ ტვიფარის ნიმუშს და ურთიერთშორის ცვლიან მას.

2. იმ შემთხვევაში, თუ დასაცურებელ ხე-ტყეს ხელშეკრულების დამდები მხარეები გაასუფთავებენ ქერქისაგან, მაშინ მოცილებული ქერქი არ უნდა მოხდეს სასაზღვრო გამდინარე წყლის აუზებში.

### მუხლი 26

იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება სასაზღვრო წყლებით სარგებლობის, მათი მოვლის, სასაზღვრო გამდინარე წყლებზე ხე-ტყის მასალების დაცურების წესს, აგრეთვე ჰიდრომეტეოროლოგიურ საკითხებზე თანამშრომლობას, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა დაიდვას სპეციალური შეთანხმებები.

### მუხლი 27

1. საზღვრის გადამკვეთ რკინიგზებზე და გზატკეცილებზე, აგრეთვე სანაოსნო გზებზე მიმოსვლა და ამ გზებზე საზღვარზე გადასასვლელი პუნქტები ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის დადგინდება სპეციალური შეთანხმებებით.

2. იმ ადგილებზე, სადაც საზღვრის ხაზს კვეთენ რკინიგზები და გზატკეცილები, აგრეთვე სანაოსნო გზები, ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თავის ტერიტორიაზე დგამს და სათანადოდ მოვლილი აქვს სპეციალური ნიშნები და შლაგბაუმები.

3. ხელშეკრულების დამდები მხარეები ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ რკინიგზებისა და გზატკეცილების და სანაოსნო გზების უზნები იმ ადგილებში, სადაც ისინი გადაკვეთენ საზღვრის ხაზს და ღია არიან მოძრაობისათვის, იქონიონ წესიერ მდგომარეობაში. მათ შეეკეთებას აწარმოებს ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თავის ხარჯზე საზღვრის ხაზამდის.



თუ ამ ხელშეკრულების 16, 18 და 21 მუხლში აღნიშნულ სამუშაოთა და მომსახურების წარმოების დროს წარმოიშვება საჭიროება ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე მასალების გადატანისა, მაშინ ასეთ შემთხვევაში ასეთი მასალები საზღვარზე გადატანის დროს თავისუფლდებიან ყოველგვარი გამოსაღებებისა და გადასახადებისაგან.

### განყოფილება III

#### თევზის ჰერა, ნადირობა, სატყეო მუშარეობა და სახეობა სარეზერვუარი

##### მუხლი 29

1. ხელშეკრულების დამდებ თითოეული მხარის მცხოვრებთ შეუძლიათ სასაზღვრო წყლებში თევზის ჰერა საზღვრის ხაზამდე მათ ტერიტორიაზე მოქმედი წესებით, მაგრამ თევსაჭერი ხელსაწყოებით არ უნდა დაიკავონ მდინარის სივანის 2/3 მეტი, იმ პირობით, რომ აკრძალულია:

a) ფეთქებადი, შხამიანი და გამაბრუებელი ნივთიერებების გამოყენება, რაც დაკავშირებულია თევზის მასობრივ გაწყვეტასა და დაშვებასთან;

b) თევზის ჰერა სასაზღვრო წყლებში დამით საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვრის უბნის გამოკლებით მდინარე დუნაიზე მდინარე პრუტის შესართავიდან შავ ზღვამდე, რომელზედაც ორივე მხარის მოქალაქეთათვის ნებადართულია თევზის ჰერა აგრეთვე დამითაც ყოველწლიურად 15 აპრილიდან 31 ოქტომბრამდე იმ პირობებში, რომლებიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით თევზის ჰერისათვის დღისით.

2. სასაზღვრო წყლებში თევზის დაცვა და გამრავლება, აგრეთვე ცალკეული ჯიშების თევზის ჰერის აკრძალვა ამა თუ იმ უბანზე, მეთევზეობის ვადები და ეკონომიური ხასიათის სხვა ღონისძიებები, რომლებიც მეთევზეობას ეხება, შეიძლება გადაიჭრას ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის სპეციალური შეთანხმებებით.

##### მუხლი 30

1. ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თვალყურს ადევნებს იმას, რომ მის ტერიტორიაზე არსებული ნადირობის წესი მტკიცედ იყოს დაცული საზღვრის ხაზის ახლოს და რომ ნადირობის დროს სროლა და ნადირისა და ფრინველის დევნა საზღვრის გადაღმა არ იქნას დაშვებული.

2. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი საჭიროებისდა მიხედვით ურთიერთ შეთანხმდებიან ნადირისა და ფრინველის დაცვის ყველა საკითხზე, აგრეთვე საზღვრის ცალკეულ უბნებზე ნადირობის აკრძალვის ერთი და იმავე ვადების შესახებ.

1. იმ უბნებზე, რომლებიც ეკვრიან საზღვრის ხაზს, ხელშეკრულების დამდები მხარეები სატყეო მეურნეობას წარმართავენ ისე, რომ ზარალი არ მიაყენონ მეორე მხარის სატყეო მეურნეობას.

2. საზღვრის ახლოს ტყის ხანძრის გაჩენისას ხელშეკრულების დამდებმა ერთერთმა მხარემ, რომლის ტერიტორიაზეც გაჩნდა ხანძარი, შეძლებისამებრ უნდა მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ზომა ხანძრის ლოკალიზაციისათვის და ჩასაქრობად, აგრეთვე არ დაუშვას საზღვრიდან მისი გავრცელება.

3. საზღვრიდან ტყის ხანძრის გავრცელების საფრთხის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარის სათანადო ხელისუფალნი, რომლის ტერიტორიაზე გაჩნდა ეს საფრთხე, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აფრთხილებს ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ საზღვარზე ხანძრის ლოკალიზაციისათვის სათანადო ზომების მისაღებად.

4. თუ ბუნებრივ მოვლენათა შედეგად ან ტყის ჭრის დროს ხეები წაიქცევა საზღვრის ხაზს გადაღმა, მაშინ ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი მიიღებენ ზომებს, რათა ეს ხეები გატანილ იქნას იმ მხარის ტერიტორიაზე, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. ასეთი შემთხვევის შესახებ იმ მხარის სათანადო ხელისუფლებმა, რომელთაც ეკუთვნის ხეები, უნდა შეატყობინონ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.

ასეთ შემთხვევებში ხეების გადაზიდვა საზღვარზე თავისუფალია ყოველგვარი გამოსაღებებისა და გადასახადებისაგან.

## მუხლი 82

1. საზღვართან უშუალოდ ახლოს სამთო საქმისათვის და მინერალური წიაღისეულის საძიებო სამუშაოებისათვის მოქმედებს იმ მხარის წესები, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს დამუშავების ადგილები.

2. საზღვრის ხაზის დაცვის უზრუნველსაყოფად მის ორივე მხარეზე უნდა რჩებოდეს 20 მეტრი სიგანის ზოლი, რომლებშიც ამ მუხლის 1 პუნქტში ჩამოთვლილი სამუშაოები, როგორც წესი აკრძალულია. ასეთი სამუშაოები დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალთა შეთანხმებით.

3. თუ ცალკეულ შემთხვევებში ამ მუხლის 2 პუნქტში აღნიშნული ზოლების დაწესება მიზანშეწონილი არ არის, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ურთიერთ შეთანხმებით, საზღვრის ხაზის დაცვის უზრუნველსაყოფად, დაადგენ სხვა დამცველ ღონისძიებებს.

მესაზღვრე რწმუნებულები, მათი უფლება-მოვალეობანი და  
საზღვარზე გადასვლის წესები

მუხლი 33

ამ ხელშეკრულებებში ნახსენები სათანადო ხელისუფალნი არიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მესაზღვრე რწმუნებულები და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მესაზღვრე რწმუნებულები, მათი მოადგილეები და თანაშემწენი.

მუხლი 34

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თითოეული ნიშნავს მესაზღვრე რწმუნებულებს და მათ მოადგილეებს.
2. ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულებმა ურთიერთთანამშრომლობით უნდა შეასრულონ ის მოვალეობანი, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ხელშეკრულების დადგენილებებიდან.
3. მოადგილეები, როცა ისინი მხარეთა წარმომადგენლები არიან, სარგებლობენ მესაზღვრე რწმუნებულთა ყველა უფლებით.

მუხლი 35

1. მესაზღვრე რწმუნებულთა ოფიციალური ადგილსამყოფელი და სამოქმედო უბნები დადგენილ იქნება ოქმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.
  2. ზემოდასახელებულ ოქმში აღნიშნული მონაცემების შეცვლის შესახებ, ხელშეკრულების დამდები მხარეები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ერთმანეთს აცნობებენ დიპლომატიური წესით.
- მესაზღვრე რწმუნებულებისა და მათი მოადგილეების გვარები და სახელები ურთიერთ ეცნობებათ დიპლომატიური წესით.

მუხლი 36

1. მესაზღვრე რწმუნებულებს უფლება აქვთ დაინიშნონ საჭირო რაოდენობით თანაშემწენი, აგრეთვე მოიწვიონ ექსპერტები.
  2. ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულები ერთმანეთს შეატყობინებენ თავიანთი თანაშემწეების გვარს, სახელს და ოფიციალურ ადგილსამყოფელს.
- მესაზღვრე რწმუნებულთა თანაშემწეების დანიშვნის, აგრეთვე მათი ოფიციალური ადგილსამყოფელის დაწესების შესახებ მესაზღვრე რწმუნებულები განაცხადებენ თავიანთ პირველ სხდომაზე ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

3. მესაზღვრე რწმუნებულთა თანაშემწეების რიცხვი და მათი ოფიციალური ადგილსამყოფელი საჭიროებისდა მიხედვით შეიძლება შეიცვალოს მის მესაზღვრე რწმუნებულთა მიერ.

4. თანაშემწეების უფლებათა მოცულობა განსაზღვრულია რწმუნებებით, რომლებსაც გასცემენ მესაზღვრე რწმუნებულები.

### მუხლი 87

ამ ხელშეკრულების 33 მუხლში ნახსენებ პირებს წერილობით რწმუნებებს, შედგენილს რუსულ და რუმინულ ენებზე, აძლევს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მესაზღვრე რწმუნებულებს და მათ მოადგილეებს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სასაზღვრო ჯარების უფროსი;

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მესაზღვრე რწმუნებულებს და მათ მოადგილეებს — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სარდალი;

თანაშემწეებს — შესაბამისი მესაზღვრე რწმუნებულები.

### მუხლი 88

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ვალდებული არიან:

1. მიიღონ საჭირო ზომები საზღვარზე ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესრიგის დარღვევის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

2. მიიღონ საჭირო ზომები რომელიმე პირთაგან საზღვრის არალეგალურად გადასვლის ხელის შეშლის მიზნით; მიღებული ზომების შესახებ აცნობონ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.

3. გამოიძიონ საზღვრის რეჟიმის დარღვევის ყველა შემთხვევა და გადაჭრან ისინი, იმათი გამოკლებით, რომლებიც მოითხოვენ დიპლომატიური წესით გადაჭრას.

4. მათთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში გამოიძიონ და გადაჭრან პრეტენზიები ყოველგვარი სახის ანაზღაურებაზე, რომლებიც შედეგია საზღვარზე წესრიგის დარღვევის ამა თუ იმ შემთხვევისა და წამოდგენილია ერთ-ერთი მხარის ან პირთა მიერ, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

საზღვრის რეჟიმის დარღვევის შემთხვევების გადაჭრასთან ერთად ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებიან აგრეთვე ქონების დაბრუნების წესის შესახებ, რომელიც მოხვდა მეორე მხარის ტერიტორიაზე.

### მუხლი 89

1. ის პირნი, რომლებიც განუზრახველად უკანონოდ გადმოვიდნენ საზღვარზე და დაკავებულ იქნენ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ტე-



რიტორიაზე, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა გადაეცნენ იმ მხარის მესაზღვრე რწმუნებულებას ან მესაზღვრე რწმუნებულების მოადგილეებს, რომლის ტერიტორიიდანაც ისინი გადმოვიდნენ.

2. მესაზღვრე რწმუნებულები განსაზღვრავენ ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ პირთა დაბრუნების წესს.

ამასთან ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდნენ, რომ არც ერთ მათგანს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ამ პირების უკან მიღებაზე.

#### მუხლი 40

1. საბჭოთა ან რუმინელი მოქალაქენი, რომლებიც განზრახ არალეგალურად გადავიდნენ საზღვარზე და დაკავებულ იქნენ, დამკავებელი მხარის სათანადო ხელისუფალთა გადაწყვეტილებით გადაეცემა იმ მხარის სათანადო ხელისუფალთ, რომლის ტერიტორიიდანაც ისინი გადმოვიდნენ.

2. ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული პირები შეიძლება არ გადაეცეს მეორე მხარეს, თუ:

a) ისინი არიან იმ მხარის მოქალაქენი, რომელმაც ისინი დააკავა;

b) გარდა დანაშაულისა—საზღვრის არალეგალურად გადასვლა, მათ ჩადინეს სხვა დანაშაული იმ მხარის კანონების წინააღმდეგ, რომლის ტერიტორიაზეც ისინი გადავიდნენ.

3. ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ პირთა დამკავებელი მხარე თუ საჭიროდ ცნობს აწარმოოს დამატებითი გამორკვევები, მაშინ მას შეუძლია დააკავოს ეს პირები იმ დრომდე, რაც საჭირო იქნება ასეთი გამორკვევის საწარმოებლად, აცნობებს რა დაკავების შესახებ მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას საკითხზე დაკავებულ პირთა გადაცემის შესახებ ღებულობს დამკავებელი მხარის შესაბამისი ხელისუფალნი ამ მუხლის 1 და 2 პუნქტის შესაბამისად.

4. თუ ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ პირთა გადაცემა არ წარმოებს 2 პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების შედეგად ან დაუყოვნებლივ არ შეიძლება მოხდეს რაიმე მიზეზების გამო, ამის შესახებ უნდა ეცნობოს ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

#### მუხლი 41

ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ტერიტორიიდან სასაზღვრო პუნქტზე გავლით გადმოსულ პირებს, რომელთაც, მეორე მხარის საზღვრის დაცვის ორგანოების შეხედულებით, არა აქვთ სათანადო დოკუმენტები, მათი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების შემთხვევაში უნდა მიიღოს იმ მხარემ, საიდანაც ისინი მოვიდნენ.

#### მუხლი 42

1. თითოეულ მესაზღვრე რწმუნებულს უფლება აქვს პირადი შეხედულებისამებრ ყოველი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს,

გადასცეს დიპლომატიური წესით გადასაჭრელად, აცნობებს რა ამის შესახებ მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

2. განსაკუთრებით სერიოზული შემთხვევა საზღვარზე, როგორც არის მაგალითად, მკვლელობა და სხეულის მძიმედ დაშავება, ყოველთვის უნდა გადაიჭრას დიპლომატიური გზით. ყველა ასეთ შემთხვევაში ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულებმა უნდა აწარმოონ ასეთი შემთხვევის შესაბამისი გამოძიება და გამოძიების შედეგები ჩაწერონ სხდომის ოქმში.

3. შემთხვევები, რომელთა მოწესრიგების შესახებ მესაზღვრე რწმუნებულები ვერ შეთანხმდნენ, გადაცემულ იქნება დიპლომატიური წესით გადასაჭრელად.

ამ მუხლის დადგენილებები არ გამოორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ საკითხი, რომელიც განიხილებოდა დიპლომატიური წესით კვლავ გადაეცეს გადასაჭრელად მესაზღვრე რწმუნებულებს.

### მუხლი 43

1. მესაზღვრე რწმუნებულთა და მათ მოადგილეთა მიერ ერთად მიღებული დადგენილებანი, რომლებიც ამოწურავენ საზღვარზე წესრიგის დარღვევის ამა თუ იმ შემთხვევას, სავალდებულოა და საბოლოოა და ძალაში შედის განხილული საკითხის ოქმზე ხელის მოწერის მომენტიდან.

პრეტენზიები ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელთა ოდენობა აღემატება 500 მანეთს (დაზარალება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე) და შესაბამისი თანხა ლევებში (დაზარალება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე) მხარეთა შესათანხმებლად გადაეცემა დიპლომატიური წესით.

2. თანხის გამოთვლას, რომელიც ერგება თითოეულ მხარეს ზარალის ანაზღაურების შესახებ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, აწარმოებენ მესაზღვრე რწმუნებულები ყოველი წლის 31 მარტს, 30 ივნისს, 30 სექტემბერს და 31 დეკემბერს.

### მუხლი 44

თითოეული მხარე ანაზღაურებს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მისი მოვალეობის შესრულებასთან, რომელიც ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.

ხელშეკრულების დადგენილებიდან გამომდინარე ანგარიშსწორებათა წესი დადგენილ იქნება დიპლომატიური გზით.

### მუხლი 45

1. ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულები და მათი მოადგილეები, როგორც წესი, ერთად მუშაობენ სხდომებზე და შეხვედრების დროს. თითოეული სხდომის შესახებ დაიწერება ოქმი, რომლებშიც მოკლედ უნდა აისახოს სხდომის მსვლელობა, მიღებული დადგენილებანი და მათი შესრულების ვადები.

წერილმანი საკითხები შეიძლება გადაიჭრას მესაზღვრე რწმუნებულებს შორის მიმოწერის გზით ან კავშირის სხვა საშუალებებით, თუ არც ერთმა მათგანმა არ მოითხოვს ასეთი საკითხის განხილვას სხდომაზე ან შეხვედრის დროს.

2. მესაზღვრე რწმუნებულთა თანაშემწენი, როგორც წესი, ერთად მუშაობენ შეხვედრების დროს. თანაშემწეების თითოეულ შეხვედრაზე დაიწერება ოქმი, რომელშიც დაწვრილებით იქნება აღნიშნული მათ მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩაიწერება დასკვნები და წინადადებები. თანაშემწეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ძალაში შედიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ დამტკიცებს მესაზღვრე რწმუნებულები.

საკითხები, რომლებზედაც თანაშემწეებს შორის შეთანხმება არ მოხერხდა, გადასაჭრელად გადაეცემა მესაზღვრე რწმუნებულებს.

3. ოქმები მესაზღვრე რწმუნებულებისა და მათი მოადგილეების, აგრეთვე თანაშემწეების შეხვედრის შესახებ შედგება ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და რუმინულ ენებზე.

#### მუხლი 46

1. მესაზღვრე რწმუნებულთა სხდომები და შეხვედრები ეწყობა ერთ-ერთი მათგანის წინადადებით და შეძლებისამებრ იმ დროს, რომელიც ნაჩვენებია წინადადებაში. პასუხი მიწვევაზე უნდა მიეცეს დაუყოვნებლივ და, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 48 საათისა მოწვევის მიღების მომენტიდან. თუ სხდომის ან შეხვედრის შეთავაზებული დრო მისაღები არ არის, საპასუხოდ მაშინვე შეთავაზებულ უნდა იქნას სხვა დრო.

2. სხდომაზე ან შეხვედრაზე, რომელზედაც იწვევს ერთი მხარის მესაზღვრე რწმუნებული, პირადად უნდა მოვიდეს მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებული, თუ იგი ადგილზე არ იმყოფება საპატიო მიზეზებით (ავადმყოფობა, მივლინება, ვეგებულება) ასეთ შემთხვევაში მესაზღვრე რწმუნებულს ცვლის მისი მოადგილე, ამის შესახებ მესაზღვრე რწმუნებულები ან მისი მოადგილე დროულად აცნობებს მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

3. მესაზღვრე რწმუნებულთა შორის შეთანხმებით შეიძლება მოეწყოს მათ მოადგილეთა სხდომები და შეხვედრები.

თანაშემწეთა შეხვედრები ხდება მხოლოდ მესაზღვრე რწმუნებულთა დავალებით.

4. მესაზღვრე რწმუნებულთა ან მათ თანაშემწეთა სხდომებსა და შეხვედრებში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ მდივნებმა, მთარგმნელებმა, ექსპერტებმა და თითოეული მხარის სხვა პირებმა.

#### მუხლი 47

1. სხდომები და შეხვედრები, რომლებზედაც ლაპარაკია ამ ხელშეკრულების 46 მუხლში, როგორც წესი უნდა გაიმართოს იმ მხარის ტერიტორიაზე, რომლის მესაზღვრე რწმუნებულის ინიციატივით ეწყობა სხდომა ან შეხვედრა.

მაგრამ მესაზღვრე რწმუნებულებს ან მათ თანაშემწეებს შეუძლიათ გადაუხვიონ ამ პრინციპს, თუ ასეთი გადახვევის სასარგებლოდ ლაპარაკობს მიზანშეწონილობის მოსაზრებანი.

2. სხდომები ან შეხვედრები წარმოებს იმ მხარის მესაზღვრე რწმუნებულის ან თანაშემწის ხელმძღვანელობით, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება.

3. სხდომის დღის წესრიგი წარდგენილ უნდა იქნას მოწვევასთან ერთად და დადგენილ უნდა იქნას წინასწარი მოლაპარაკების გზით ან წერილების გაცვლის გზით. საგანგებო შემთხვევაში ურთიერთ შეთანხმებით განსახილველად შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე საკითხები, რომლებიც დღის წესრიგში არ არის აღნიშნული.

#### მუხლი 48

მესაზღვრე რწმუნებულებს და მათ თანაშემწეებს შეუძლიათ, ამის შესახებ წინასწარ შეთანხმებით, საქმის არსის გამოსარკვევად აწარმოონ ადგილებზე საზღვარზე წესრიგის დარღვევის შემთხვევების გამოძიება.

ასეთ გამოძიებას ხელმძღვანელობს იმ მხარის მესაზღვრე რწმუნებული, რომლის ტერიტორიაზე იგი წარმოებს.

გამოძიების შესახებ უნდა შედგეს შესაბამისი აქტები ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც შემდეგ სხდომის ოქმს დაერთვის. აღნიშნული აქტები და სხვა დოკუმენტები შედგება ამ ხელშეკრულების 45 მუხლით დადგენილი წესების დაცვით.

ადგილებზე ერთად გამოძიება არ განიხილება, როგორც სასამართლო ძიება ან მსგავსი მოქმედება, რომლებიც შედიან თითოეული მხარის სასამართლო ან ადმინისტრაციულ ხელისუფალთა კომპეტენციაში.

#### მუხლი 49

მესაზღვრე რწმუნებულები მოვალენი არიან ერთმანეთს აცნობონ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ იმ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რომლებიც მიღებულია სხდომაზე ან შეხვედრის დროს.

#### მუხლი 50

1. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველ სხდომაზე მესაზღვრე რწმუნებულები ამაზე ურთიერთ შეთანხმებით აწესებენ საზღვარზე შესახვედრ პუნქტებს, რომლებშიც წარმოებს მათი სამსახურებრივი კორესპონდენციების გაცვლა, აგრეთვე ხდება ხალხისა და ქონების გადაცემა. ყოველი ასეთი გადაცემის ადგილისა და დროის შესახებ ერთმანეთს შეუთანხმდებიან მესაზღვრე რწმუნებულები ან მათი თანაშემწეები.

ასეთი შესახვედრი პუნქტების რიცხვი და ადგილსამყოფელი შეიძლება მესაზღვრე რწმუნებულებმა შეცვალონ ურთიერთშეთანხმებით.



2. ხალხის გადაცემა უნდა მოხდეს მესაზღვრე რწმუნებულების ან მათი მოადგილეების მიერ; ამ მუხლში ჩამოთვლილი ყველა სხვა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულება შეუძლიათ ორივე მხარის სასაზღვრო ჯარების ოფიცრებს მესაზღვრე რწმუნებულთა დავალებით და მათ დაუსწრებლად.

3. სამსახურებრივი კორესპონდენცია მიღებულ უნდა იქნას მთელი დღეღამის განმავლობაში, დღესასწაულებისა და სამუშაოდან თავისუფალი სხვა დღეების ჩათვლით.

4. ცხოველებისა და ფრინველების გადაცემა ხდება მათ მიერ საზღვრის გადასვლის რაიონში.

5. მესაზღვრე რწმუნებულები ურთიერთ შეთანხმებით აწესებენ ხელწერილთა ნიმუშებს, რომლებიც გაიცემა კორესპონდენციის მიღების ან ცხოველების და სხვა ქონების მიღების დროს.

6. მესაზღვრე რწმუნებულები ხელს შეუწყობენ ურთიერთშორის კავშირის არსებული სატელეფონო ხაზებით ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებით, აგრეთვე შეთანხმდებიან სიგნალების შესახებ, რომლებიც გამოიყენება მეორე მხარის სასაზღვრო დაცვის გამოსაძახებლად.

## მუხლი 51

1. მესაზღვრე რწმუნებულებს, მათ მოადგილეებს, თანაშემწეებს, მდივნებს, მთარგმნელებს და ექსპერტებს შეუძლიათ გადავიდნენ საზღვარზე თავიანთი სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ხელშეკრულების დადგენილებებიდან.

მესაზღვრე რწმუნებულები, მათი მოადგილეები და თანაშემწეები გადადიან საზღვარზე ამ ხელშეკრულების 37 მუხლით გათვალისწინებულ წერილობითი რწმუნების საფუძველზე, რომელსაც უნდა ჰქონდეს მფლობელის ფოტოსურათი და ხელის მოწერა, ხოლო თანაშემწის რწმუნებაზე, ამის გარდა, მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულის ვიზა (რწმუნების ნიმუშები — დანართები 1 და 2).

2. მდივნები, მთარგმნელები და ექსპერტები გადადიან საზღვარზე მოწმობის საფუძველზე, რომელსაც ვასცემს ერთი მხარის მესაზღვრე რწმუნებულის. მოწმობას უნდა ჰქონდეს მფლობელის ფოტოსურათი და ხელის მოწერა, აგრეთვე მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულის ვიზა (მოწმობის ნიმუში — დანართი 3).

3. ამ მუხლის 2 პუნქტში ნახსენები ვიზები, აგრეთვე ვიზები მესაზღვრე რწმუნებულთა თანაშემწეებისათვის, გაიცემა საზღვრის მრავალჯერად გადასასვლელად 12 თვემდე ვადით.

4. იმ პირობით, რომელთა ყოფნა საჭიროა რაიმე საკითხის გამოსარკვევად ან მესაზღვრე რწმუნებულის დავალებით სამუშაოს შესასრულებლად, საზღვარზე გადასვლა შეუძლიათ ორივე მხარეზე საზღვრის ერთჯერადი გადასვლის მოწმობის ან საერთო სიის საფუძველზე, რომლებიც ძალაშია 24 საათის განმავ-

ლობაში. მოწმობებს და საერთო სიებს ხელს აწერს ერთი მხარის მესაზღვრე რწმუნებული და ვიზას აძლევს მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებული ბის ნიმუში — დანართი 4).

მუშათა ჯგუფები საზღვარზე გადადიან მხოლოდ დღისით ამ ჯგუფების უფროსებთან ერთად მოწმობების დანართი საერთო სიების საფუძველზე, რომლებიც ეძლევათ ჯგუფების უფროსებს და ვიზა დასმულია მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულის მიერ.

5. მესაზღვრე რწმუნებულები ამ მუხლის 1, 2 და 4 პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტებზე ვიზას იძლევიან არა უგვიანეს სამი დღისა დღიდან დოკუმენტების ვიზის დასადებად შემოსვლისა.

6. ის პირნი, რომლებიც ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთ შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აწარმოებენ საკომუნიკაციო ნაგებობათა, ხიდების, წყლის ნაგებობების, მშენებლობისა და დაცვის უზრუნველსაყოფ სამუშაოებს, აგრეთვე მდინარეების რეგულირების, გაზომვათა წარმოებისა და სხვა ამგვარ სამუშაოებს, შეუძლიათ გადავიდნენ საზღვარზე სასაზღვრო საშვებებით, რომლებსაც გასცემენ თითოეული მხარის მიერ დადგენილი წესის თანახმად, ორივე მხარეს შორის არსებული შეთანხმებების შესაბამისად.

ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულები ერთად ადგენენ ზემოთ აღნიშნულ პირთა საზღვარზე გადასვლის დროსა და ადგილს და აკეთებენ შესაბამის ჩანაწერებს მათ საშვებებზე.

7. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ტექნიკურ პერსონალს და მუშებს, რომლებიც გადადიან მეორე მხარის ტერიტორიაზე, უფლება არა აქვთ თან წაიღონ სხვა რაიმე, ვარდა ინსტრუმენტებისა და სატრანსპორტო საშუალებებისა მათი უკან წამოღების პირობით, აგრეთვე მუშაობის დროს საჭირო სასურსათო პროდუქტებისა და თამბაქოს ნაწარმისა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოთა წარმოება გაგრძელდება რამდენიმე დღეს, ეს საგნები შეიძლება დატოვებულ იქნას სამუშაო ადგილზე ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა თანხმობით.

8. საზღვარზე გადასასვლელი მოწმობის ან სასაზღვრო საშვის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უახლოეს სასაზღვრო ხელისუფალთ, რომლებიც ამის შესახებ აცნობებენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სასაზღვრო ხელისუფალთ.

ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ინფორმაციას მიაწვდიან ერთმანეთს საზღვარზე გადასასვლელი მოწმობებისა და სასაზღვრო საშვთა გაუქმების შესახებ.

9. იმ პირთ, რომლებმაც მიიღეს სასაზღვრო საშვი, უნდა განემარტოთ მათი მოვალეობა ორივე მხარის საბაჟო დასავალუტო წესების დაცვის შესახებ. იმ პირებს, რომლებიც არ დაიცავენ ამ წესებს, შეიძლება ჩამოერთვათ სასაზღვრო საშვი მისი გამცემი მხარის მიერ.

## მუხლი 52



ის პირები, რომლებიც რწმუნებული არიან გადავიდნენ საზღვარზე, გარეულნი არიან საზღვარზე გადასვლის დროს ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის საზღვრის დაცვის ორგანოებს თითოეულ შემთხვევაში წარუდგინონ საზღვარზე გადასვლის მოწმობა ან სასაზღვრო საში ჩანანიშნის გასაქეთებლად

## მუხლი 53

1. საზღვარზე გადასვლა ხდება მხოლოდ იმ პუნქტებში, რომლებიც ამ ხელშეკრულების 50 მუხლის შესაბამისად არის დადგენილი, თუ მესაზღვრე რწმუნებულნი ან მათი თანაშემწენი არ შეთანხმდნენ საზღვარზე გადასვლის სხვა ადგილის შესახებ.

2. ამ ხელშეკრულების 51 მუხლის 1 და 2 პუნქტში ნაჩვენებ პირობა საზღვარზე ყოველი გადასვლის დღისა და საათის შესახებ, მესაზღვრე რწმუნებულნი (მათი თანაშემწენი) წინასწარ და ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 12 საათით ადრე აცნობებენ იმ მხარის მესაზღვრე რწმუნებულთ (მათ თანაშემწეებს), რომლის ტერიტორიაზე ტარდება სხდომა ან შეკრება. მესაზღვრე რწმუნებულნი (მათი თანაშემწენი) მოვალენი არიან საზღვარზე გადასასვლელ პუნქტთან გამოგზავნონ თავისი გამყოლი.

3. მესაზღვრე რწმუნებულებს, აგრეთვე სხვა პირებს, რომლებიც ნახსენებია ამ ხელშეკრულების 51 მუხლის 1 და 2 პუნქტში, უფლება აქვთ საზღვარზე გადასვლისას ატარონ ფორმა და პირადი იარაღი.

## მუხლი 54

1. მესაზღვრე რწმუნებულების, მათი მოადგილეებისა და თანაშემწეებისათვის, აგრეთვე სხვა პირთათვის, რომლებიც ნახსენებია ამ ხელშეკრულების 51 მუხლის 1 და 2 პუნქტში, გარანტირებულია მათი პირადი ხელშეუხებლობა, აგრეთვე იმ სამსახურებრივი ქაღალდების ხელშეუხებლობა, რომლებიც მათ თან აქვთ.

ზემოხსენებულ პირებს უფლება აქვთ წაიღონ თან უბაჟოდ და სხვა გამოსაღების შეუწერლად მეორე მხარის ტერიტორიაზე მუშაობისათვის საჭირო ნივთები და სატრანსპორტო საშუალებანი, მათი უკან წამოღების პირობით, აგრეთვე სასურსათო პროდუქტები და თამბაქოს ნაწარმი პირადი სარგებლობისათვის.

2. ამ ხელშეკრულების 51 მუხლის 4 და 6 პუნქტში ნახსენები პირები, სარგებლობენ ხელშეუხებლობით და არ შეიძლება დაკავებულ იქნან მეორე მხარის ტერიტორიაზე ყოფნის დროს.

## მუხლი 55

თითოეული მხარე საჭირო დახმარებას აღმოუჩენს მეორე მხარის იმ პირთ, რომლებიც იმყოფებიან მის ტერიტორიაზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, რათა ამ პირებ-

მა მიიღონ მიმოსვლის საშუალებანი, ბინები და თავიანთ ხელისუფლებათა  
კავშირის საშუალებანი.



### მუხლი 56

ამ ხელშეკრულების დადგენილებათა შესასრულებლად საზღვარზე გადას-  
ვლის უფლება შეჩერდება მთლიანად ან ნაწილობრივ, საჰაეროებისა მიხედ-  
ვით, თუ საზღვარი დაიხურა მასზე მიმოსვლისათვის სანიტარული ან სხვა  
მიზეზების გამო.

საზღვარზე გადასვლის უფლებების შეჩერების შესახებ წინასწარ უნდა  
ეცნობოს მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.

### მუხლი 57

ხანძრის ან სხვა სტიქიურ უბედურებათა შემთხვევაში სახანძრო რაზმებს  
ან სხვა მამველ ჯგუფებს დღე-ღამის ყოველ მომენტში შეუძლიათ გადავიდნენ  
საზღვარზე სიებით, შეათანხმებენ რა გადასვლის დროს და ადგილს ხელშეკრუ-  
ლების დამდებ მხარეთა მესაზღვრე რწმუნებულებთან.

## განყოფილება V

### დასკვნითი დადგენილებანი

### მუხლი 58

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარა-  
ტიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება მოსკოვში რაც შეიძლება  
მოკლე დროში.

### მუხლი 59

ეს ხელშეკრულება იმოქმედებს მისი ძალაში შესვლის დღიდან ათი წლის  
განმავლობაში თუ ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 6 თვით  
ადრე ხელშეკრულების დამდები არცერთი მხარე არ განაცხადებს თავის უარს  
მასზე ან იმის შესახებ, რომ სურს შეიტანოს მასში ესა თუ ის ცვლილებანი,  
ხელშეკრულება ავტომატურად იმოქმედებს ყოველი შემდგომი ხუთი წლის  
განმავლობაში.

### მუხლი 60

ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვ-  
ლება საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის შესახებ  
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და რუმინეთის  
სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულება დასკ-  
ვნით ოქმთან ერთად, რომლებიც ხელმოწერილია მოსკოვში 1949 წლის 25



ნომბერს, და სასაზღვრო ინციდენტებისა და კონფლიქტების რეგულირების  
წესის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის  
ბასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული  
კონვენცია ოქმთან და დასკვნით ოქმთან ერთად, რომლებიც ხელმოწერილია  
მოსკოვში 1949 წლის 25 ნომბერს.

### მუხლი 61

ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ  
და რუმინულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ხელმოწერილია ბუქარესტში 1961 წლის 27 თებერვალს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირის მთავრობის რწმუნებით  
**ი. შიგალინი.**

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის  
მთავრობის რწმუნებით  
**ა. მელნუზანი.**

\* \* \*

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ  
1961 წლის 5 ივნისს; რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს  
მიერ — 1961 წლის 20 ივნისს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1961 წლის 27  
ივლისს.

დანართი 1

### ნ ი მ უ შ ი

მესაზღვრე რწმუნებულისა და მისი  
მოადგილის რწმუნებისა

გვერდი 1 (ზომა 15 × 10 სმ)

რ წ მ უ ნ ე ბ ა

ადგილი  
ფოტოსურათისათვის

ბეჭდის ადგილი

მფლობელის ხელის მოწერა

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ხელმოწერილია ბუქარესტში 1961 წლის 27 თებერვალს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ დანიშნა \_\_\_\_\_

(წოდება, გვარი, სახელი და მამის სახელი)

სსრ კავშირის მესაზღვრე რწმუნებულად (მესაზღვრე რწმუნებულის მოადგილედ)

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვრის \_\_\_\_\_  
 (უბნის დასახელება)

უბანზე № \_\_\_\_\_ სასაზღვრო ნიშნიდან № \_\_\_\_\_

სასაზღვრო ნიშნამდე.

(წოდება, გვარი)

აღიჭურვება რწმუნებით ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მოვალეობათა შესასრულებლად, და ამასთან დაკავშირებით, უფლება აქვს გადავიდეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვრის აღნიშნულ უბანზე და იმყოფებოდეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლში.

სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების უფროსი

(წოდება, გვარი)

ბეჭდის ადგილი

ქალაქი მოსკოვი, 19 \_\_\_\_\_ წ. „ \_\_\_\_\_ “



ნ ი მ უ შ ი

მესაზღვრე რწმუნებულის თანაშემწის რწმუნებისა

გვერდი 1 (ზომა 15 X 10 სმ)

რ წ მ უ ნ ე ბ ა

ადგილი  
ფოტოსურათისათვის

ბეჭდის ადგილი

მფლობელის ხელის მოწერა

გვერდი 2

1961 წლის 27 თებერვალს ბუქარესტში ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრო-მლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-ლიკების კავშირის მთავრობასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრო-ბას შორის ხელშეკრულების 36 მუხლის საფუძველზე.

(წოდება, გვარი, სახელი და მამის სახელი)

მცხოვრები \_\_\_\_\_

დაბადებული \_\_\_\_\_

(დაბადების წელი, თვე და რიცხვი)

დანიშნულია მესაზღვრე რწმუნებულის თანაშემწედ საბჭოთა კავშირ-რუმინე-თის საზღვრის \_\_\_\_\_

(უბნის დასახელება)

უბანზე

\_\_\_\_\_

(წოდება, გვარი)

ადიჭურვება რწმუნებით ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობათა შესასრულებლად, და ამასთან დაკავშირებით, უმჯობესად აქვს გადავიდეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვარს № \_\_\_\_\_ და № \_\_\_\_\_ სასაზღვრო ნიშნებს შორის რაიონში და იმყოფებოდეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლში.

სსრ კავშირის მისაზღვრე რწმუნებულნი

(წოდება, გვარი)

ბეჭდის ადგილი

19 — წლის „ „ \_\_\_\_\_  
(გაცემის ადგილი და თარიღი)

გვერდი 3 (რუმინული ტექსტი 2 გვერდისა)

გვერდი 4

ეს რწმუნება წარმოემდგინა და ძალაშია

19 — წ. „ „ \_\_\_\_\_ დან  
19 — წ. „ „ \_\_\_\_\_ მდე

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მისაზღვრე რწმუნებულნი

ბეჭდის ადგილი

(წოდება, გვარი)

19 — წლის „ „ \_\_\_\_\_

დანართი 3

ნი მ უ შ ი

მოწმობისა მესაზღვრე რწმუნებულის

თანამშრომელთათვის

გვერდი 1 (ზომა 15 × 10 სმ)

მ ო შ მ ო ბ ა

ადგილი

ფოტოსურათისათვის

ბეჭდის ადგილი

მფლობელის ხელის მოწერა





1961 წლის 27 თებერვალს ბუქარესტში ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელშეკრულების 51 მუხლის საფუძველზე.

(წოდება, გვარი, სახელი და მამის სახელი)

მცხოვრები \_\_\_\_\_ დაბადებული

(დაბადების წელი, თვე და რიცხვი), არის მესაზღვრე რწმუნებულის

(თანამდებობა)

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვრის \_\_\_\_\_  
(უბნის დასახელება)

უბანზე, უფლება აქვს გადავიდეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვარზე ორივე მხარეზე, № \_\_\_\_\_ და № \_\_\_\_\_ სასაზღვრო ნიშნებს შორის უბანზე (რაიონში) და იმყოფებოდეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლში.

სსრ კავშირის მესაზღვრე რწმუნებული

(წოდება, გვარი)

ბეჭდის ადგილი

19 \_\_\_\_ წ. „ \_\_\_\_ “ \_\_\_\_\_  
(გაცემის ადგილი და თარიღი)

გვერდი 3 (რუმინული ტექსტი 2 გვერდისა)

გვერდი 4

ეს მოწმობა წარმომედგინა და ძალაშია

19 \_\_\_\_ წ. „ \_\_\_\_ “ \_\_\_\_\_ დან  
19 \_\_\_\_ წ. „ \_\_\_\_ “ \_\_\_\_\_ მდე

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის  
მესაზღვრე რწმუნებული

ბეჭდის ადგილი

19 \_\_\_\_ წ. „ \_\_\_\_ “ \_\_\_\_\_

ნ ი მ უ შ ი

მოწმობისა საზღვრის ერთჯერადი  
გადასვლისათვის

1 გვერდი (ზომა 15×10 სმ)

მ ო წ მ ო ბ ა

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვრის  
ერთჯერადი გადასვლისათვის ორივე მხარეზე

გვერდი 2

1961 წლის 27 თებერვალს ბუქარესტში ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელშეკრულების 51 მუხლის საფუძველზე.

(გვარი, სახელი და მამის სახელი)

მცხოვრები \_\_\_\_\_, დაბადებული \_\_\_\_\_  
(დაბადების წელი, თვე და რიცხვი),

უფლება აქვს გადავიდეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვარზე, მის ორივე მხარეზე \_\_\_\_\_  
(პუნქტების დასახელება)

პუნქტებში და იმყოფებოდეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლში.

ძალაშია 19 — წ. „ \_\_\_\_\_ საათიდან

19 — წ. „ \_\_\_\_\_ საათამდე



სსრ ტავშირის მისაზღვრე რწმუნებული

ბეჭდის ადგილი

\_\_\_\_\_  
(წოდება, გვარი)

19 — წ. „ \_\_\_\_\_  
(გაცემის ადგილი და თარიღი)

გვერდი 3 (რუმინული ტექსტი 2 გვერდისა)

გვერდი 4

ეს მოწმობა წარმომედგინა და ძალაშია იმ ვადის განმავლობაში, რომელიც აღნიშნულია 2 და 3 გვერდზე

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის  
მისაზღვრე რწმუნებული

\_\_\_\_\_  
(წოდება, გვარი)

ბეჭდის ადგილი

19 — წლის „ \_\_\_\_\_

ო შ მ ი

ხელშეკრულებისა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას შორის 1961 წლის 27 თებერვალს ბუქარესტში ხელმოწერილ ხელშეკრულების 35 მუხლის შესასრულებლად, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ადგენს, რომ მესაზღვრე რწმუნებულები არიან; საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მხრივ;

1. სოლოტვინას უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით მუკაჩევოში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების შესაყარიდან (სასაზღვრო ნიშანი „ტშრი“) სტოგის (სტუგის) მთამდე (№ 413 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

2. ჩერნოცის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით ჩერნოცში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება სტოგის (სტუგის) მთიდან (№ 413 სასაზღვრო ნიშანი) დასახლებულ პუნქტ მაპალიგამდე (№ 923 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

3. კიშინიოვის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით კიშინიოვში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება დასახლებულ პუნქტ მაპალიგიდან (№ 923 სასაზღვრო ნიშანი) მდინარე პრუტის შესართავამდე (№ 1335 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

4. იზმაილის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით ოდესაში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება მდინარე პრუტის შესართავიდან (№ 1335 სასაზღვრო ნიშანი) შავ ზღვამდე (№ 1439 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ:

1. სიგეტის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით სიგეტში მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების შესაყარიდან (სასაზღვრო ნიშანი „ტშრი“) ნაკადულ პირკელაბამდე (№ 549 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

2. რედუციის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით რედუციში. მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება ნაკადულ პირკელაბიდან (№ 549 სასაზღვრო ნიშანი) დასახლებულ პუნქტ პელტინიშამდე (№ 923 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

3. იასის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით იასში. მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება დასახლებულ პუნქტ პელტინიშიდან (№ 923 სასაზღვრო ნიშანი) დასახლებულ პუნქტ გორბანამდე (№ 1139 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

4. ბირლადის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით ბირლადში. მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება დასახლებულ პუნქტ გორბანიდან (№ 1139 სასაზღვრო ნიშანი) მდინარე პრუტის შესართავამდე (№ 1335 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

5. ტულჩეს უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით ტულჩეში. მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება მდინარე პრუტის შესართავიდან C № 1335 სასაზღვრო ნიშანი) შავ ზღვამდე (№ 1439 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).



ეს ოქმი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყრელ ნაწილს და შედგენს  
ლია ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და რუმინულ ენებზე, ამასთანავე  
ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ხელმოწერილია ბუქარესტში 1961 წლის 27 თებერვალს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირის მთავრობის რწმუნებით  
ი. შაპალინი.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის  
მთავრობის რწმუნებით  
ა. მელნაშანი.

### საკონსულო კონვენცია

## 377 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იუგო- სლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმმა, ერთი მხრივ, და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რეს-  
პუბლიკის პრეზიდენტმა, მეორე მხრივ,

იხელმძღვანელეს რა სურვილით განსაზღვრონ და მოაწესრიგონ საკონ-  
სულო ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის, საკონსულო კონვენციის  
დადების მიზნით დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმმა — ივანე კონსტანტინეს ძე ზამჩევსკი, საბჭოთა სოციალისტური  
რესპუბლიკების კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუგოსლავი-  
ის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში,

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა —  
ლიუბომირ რადოვანოვიჩი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს ელჩი,  
რომლებიც, თავიანთ რწმუნებათა ურთიერთ წარდგენის შემდეგ, რაც სათანადო  
წესრიგზე და ჯეროვან ფორმაში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემოთყოფანილზე.

### საკონსულოების დაარსება, კონსულების დანიშვნა და დაუხვება, საკონსულოების პერსონალი

#### მუხლი 1

1. კონვენციის დამდებ თითოეულ მხარეს ამ კონვენციის შესაბამისად შე-  
უძლია კონვენციის დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე დაარსოს საკონსულ-  
ოები.

2. კონსულების ადგილსამყოფელი და მათი ოლქები განისაზღვრება კონ-  
ვენციის დამდებ მხარეთა შეთანხმებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

კონსულის დანიშვნამდე კონვენციის დამდები დაინტერესებული მხარე დიპლომატიური გზით ითხოვს კონვენციის დამდებ მეორე მხარის თანხმობას ასეთ დანიშვნაზე.

მუხლი 3

1. კონსულის დანიშნული სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობა კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგენს კონსულის პატენტს, სადაც აღნიშნული იქნება გვარი და სახელი, რანგი, კონსულის მოქალაქეობა, მისთვის განსაზღვრული საკონსულო ოლქი და მისი სამყოფელი პუნქტი.

2. კონსულს შეუძლია შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას მხოლოდ მას შემდეგ, როცა მას ამ თანამდებობაზე იცნობს კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს მთავრობა. ასეთი ცნობა პატენტის წარდგენის შემდეგ გამოიხატება ეგზეკვატურის ფორმით.

3. კონსულის ცნობის შემდეგ კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფალნი მიიღებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა კონსულმა შეძლოს შეასრულოს თავისი მოვალეობა და ისარგებლოს შესაბამისი შეღავათებითა და პრივილეგიებით, რომლებსაც ითვალისწინებს ეს კონვენცია და კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობა.

მუხლი 4

1. კონსულის საქმიანობა შეწყდება მისი გაწვევისა და ეგზეკვატურის გაუქმების გამო და მისი სიკვდილის შემთხვევაში.

2. ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე კონსულის არყოფნის ან ავადმყოფობის შემთხვევაში კონსულის დანიშნულ სახელმწიფოს შეუძლია საკონსულოს დროებითი ხელმძღვანელობისათვის რწმუნებით აღჭურვოს ამ საკონსულოს ან სხვა საკონსულოს საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირი ან პირი თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობიდან. ასეთი პირის დანიშვნის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

3. საკონსულოს დროებითი ხელმძღვანელობისათვის რწმუნებული პირი ისარგებლებს იმ უფლებებით, შეღავათებითა და პრივილეგიებით, რომლებსაც ეს კონვენცია ანიჭებს კონსულს.

მუხლი 5

ამ კონვენციაში:

1. აღნიშნით „საკონსულო“ იგულისხმება გენერალური საკონსულო, საკონსულო, ვიცე-საკონსულო და საკონსულო სააგენტო.

2. აღნიშვნით „კონსული“ — გენერალური კონსული, კონსული, ვიცე-კონსული და საკონსულოს აგენტი რომლებიც საკონსულოების ხელმძღვანელები არიან.

3. აღნიშვნით „საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირნი“ იგულისხმება კონსულები, რომლებიც არ არიან საკონსულოების ხელმძღვანელები, და საკონსულოების სხვა თანამშრომლები, რომელთაც აქვთ საკონსულო რანგი.

4. აღნიშვნით „საკონსულოს თანამშრომლები“ იგულისხმება ყველა პირი, რომელიც მუშაობს საკონსულოში ამ მუხლის 2 და 3 პუნქტებში ხსენებული პირების გამოკლებით.

5. აღნიშვნით „საკონსულოს პირადი შემადგენლობა“ იგულისხმება კონსულები, საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირნი და საკონსულოს თანამშრომლები.

### მუხლი 6

კონსულებად და საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქენი.

## უფლებები, შეღავათები და პრივილეგიები

### მუხლი 7

1. კონსულები, საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირნი და საკონსულოების თანამშრომელნი, რამდენადაც ისინი არიან კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქენი, არ ექვემდებარებიან კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციას იმ მხრივ, რაც შეეხება მათ სამსახურებრივ საქმიანობას.

2. სხვა მოქმედებისათვის კონსულები და საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირნი არ შეიძლება იქნან დაკავებულნი, დაპატიმრებულნი ან მათ მიმართ მიღებულ იქნას თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა საქმე ეხება კანონიერად ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენის შესრულებას ან სისხლის სამართლის ისეთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დევნის შემთხვევისა, როგორცაა სიცოცხლისა ან პირადი თავისუფლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაული და სხვა.

კონსულის წინააღმდეგ ან საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, აგრეთვე მათი დაკავების ან დაპატიმრების შესახებ უნდა ეცნობოს კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას. დაკავების ან დაპატიმრების შესახებ მას უნდა ეცნობოს წინასწარ, რამდენადაც კონსული ან საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირი არ იყვნენ დაკავებულნი დანაშაულის ადგილზე.

კონსულს შეუძლია გაუქეთოს საკონსულოს შენობებს ფარნიშები თავისი ქვეყნის სახელმწიფო გერბით და დაწესებულების სახელწოდებით, აგრეთვე გამოჰკიდოს თავისი ქვეყნის ალამი აღნიშნულ შენობებზე და კონსულის მიმოსვლის საშუალებებზე (ავტომობილებზე, კატერებზე და სხვა), როცა ის სამსახურებრივი მოვალეობათა შესრულების დროს პირადად სარგებლობს ამ საშუალებებით.

მუხლი 9

საკონსულოს პირადი შემადგენლობის წევრები, მათი მეუღლენი და არასრულწლოვანი ბავშვები, რომლებიც კონსულის დამნიშნელი სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, თავისუფლდებიან პირდაპირი გადასახადებისაგან, აგრეთვე ყველა ფულადი და სხვაგვარი ხასიათის ბეგარისაგან, რომლებსაც ახდევინებენ კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეებს, თუ ამ ვალდებულებებისაგან გათავისუფლებულნი არიან დიპლომატიურ წარმომადგენლობათა შესაბამისი კატეგორიების თანამშრომლები. ეს გათავისუფლება არ ვრცელდება გადასახადებზე. იმ შემოსავლიდან, რომელიც დაკავშირებული არ არის მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან, და დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე.

მუხლი 10

1. კონსულის დამნიშნელი სახელმწიფოს უძრავი ქონება, რომელიც გამოყენებულია საკონსულოების მოსათავსებლად ან საკონსულოების პირადი შემადგენლობის საცხოვრებლად, თავისუფლდება ყველა გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

2. ავტომანქანები, კატერები და მიმოსვლის სხვა საშუალებები, რადიომიმღებები და ტელევიზორები, აგრეთვე სხვა მოძრავი ქონება, რომელიც შეადგენს კონსულის დამნიშნელი სახელმწიფოს საკუთრებას და რომელიც ემსახურება საკონსულოს მოთხოვნილებებს, თავისუფლდება ყველა გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

3. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტში აღნიშნული გათავისუფლება არ ეხება დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურებას.

მუხლი 11

საკონსულოს პირადი შემადგენლობის წევრებს, მათ მეუღლეებს და არასრულწლოვან შვილებს, რამდენადაც ისინი კონსულის დამნიშნელი სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, ბაჟის მხრივ ნაცვალგების საფუძველზე ენიჭებათ იგივე შეღავათები, რაც დიპლომატიურ წარმომადგენლობათა შესაბამისი კატეგორიების თანამშრომლებს.



1. საკონსულოს პირადი შემადგენლობის წევრები, რომლებიც კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, გამოდიან მოწმეების სახით კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებში მათი მიწვევით. მიწვევას უნდა ჰქონდეს ოფიციალური წერილის ფორმა. რაიმე იძულებითი ღონისძიების მიღება პირადი შემადგენლობის ამ წევრების მიმართ სასამართლოში მოწმეების სახით გამოცხადებისათვის დაუშვებელია.

2. საკონსულოების პირადი შემადგენლობის წევრებს შეუძლიათ უარი განაცხადონ ჩვენების მიცემაზე იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მათ სამსახურებრივ საქმიანობას ეხება, აგრეთვე უარი განაცხადონ საკონსულოს კორესპონდენციისა და სამსახურებრივი დოკუმენტების წარდგენაზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ კონსულს და საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირს სამსახურის გარემოებათა ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ გამოცხადდნენ სასამართლოს ორგანოებში ჩვენების მისაცემად, მაშინ მათ უნდა აცნობონ ამის შესახებ და თუ ამას მოითხოვენ სასამართლოს ორგანოები, მისცენ მოწმის ჩვენება წერილობით.

4. საკონსულოს პირადი შემადგენლობის წევრებს, რომლებიც კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქენი არიან და რომლებიც მიწვეული არიან მოწმის ჩვენების მისაცემად, ფაცის მიცემა არ მოეთხოვება.

5. ამ მუხლის დებულებანი გამოიყენება აგრეთვე ადმინისტრაციულ ხელისუფალთა მიერ შესრულებული წარმოების დროს.

### მუხლი 13

1. საკონსულოების სამსახურებრივი მიმოწერა, მიუხედავად იმისა კავშირგაბმულობის რა საშუალებები გამოიყენება, ხელშეუხებელია და კონტროლს არ ექვემდებარება.

2. კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს ხელისუფლებთან ურთიერთობის დროს საკონსულოებს უფლება აქვთ ისარგებლონ შიფრით და დიპლომატიური შიკრიკებით. კავშირგაბმულობის ჩვეულებრივი საშუალებებით სარგებლობის დროს საკონსულოების მიმართ გამოიყენება იგივე ტარიფები, რაც დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მიმართ.

3. საკონსულოს არქივები ხელშეუხებელია. არასამსახურებრივი ქაღალდები არ უნდა ინახებოდეს საკონსულოს არქივში.

4. საკონსულოს სამსახურებრივი შენობები ხელშეუხებელია. კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფალთ არ შეუძლიათ განახორციელონ რაიმე იძულებითი ღონისძიება საკონსულოს შენობებში კონსულის თანხმობის მიუღებლად. კონსულის საცხოვრებელ შენობაში არ შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს რაიმე იძულებითი ღონისძიება კონსულის თანხმობის მიუღებლად, გარდა 7 მუხლის 2 პუნქტის გამოყენების შემთხვევებისა.

მუხლი 14

კონსულები ხელს უწყობენ მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის და ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას მათ შორის.

მუხლი 15

1. კონსულებს უფლება აქვთ დაიცვან თავის საკონსულო ოლქში თავიანთი სახელმწიფოს უფლებები და ინტერესები, აგრეთვე კონსულის დამნიშნელი სახელმწიფოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა უფლებები და ინტერესები.

2. თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს კონსულებს შეუძლიათ მიმართონ თავისი საკონსულო ოლქის ხელისუფალთ, აგრეთვე გაუკეთონ მათ წარდგინებანი თავისი სახელმწიფოს უფლებებსა და ინტერესებთან დაკავშირებით, აგრეთვე კონსულის დამნიშნელი სახელმწიფოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა უფლებებსა და ინტერესებთან დაკავშირებით.

3. თუ კონსულის ჩარევა არ მოიტანს დადებით შედეგს ან თუ აღმოჩნდება, რომ საქმე ეხება ხელისუფლებს, რომელნიც არ შედიან საკონსულო ოლქში, მაშინ საქმის შემდგომი წარმოება ეხება დიპლომატიური წარმომადგენლების კომპეტენციას.

მუხლი 16

კონსულებს უფლება აქვთ ამისათვის განსაკუთრებული რწმუნებების უქონლად კონსულის სამყოფელი ქვეყნის სასამართლოსა და სხვა ხელისუფალთა წინაშე წარმოადგინონ კონსულის დამნიშნელი სახელმწიფოს მოქალაქენი და იურიდიული პირნი, თუ ამ მოქალაქეებს ან იურიდიულ პირებს არყოფნის ან სხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ თავის დროზე დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები. ეს წარმომადგენლობა გრძელდება იმ დრომდე, ვიდრე წარმოდგენილნი არ დანიშნავენ თავიანთ რწმუნებულებს ან თვითონ არ იკისრებენ თავიანთი უფლებების და ინტერესების დაცვას.

მუხლი 17

1. კონსულებს უფლება აქვთ აწარმოონ თავიანთი ქვეყნის მოქალაქეთა აღრიცხვა და მისცენ მათ ან ვადა გაუგრძელონ პასპორტებს და, როცა ეს საჭიროა, მისცენ პასპორტის შემცვლელი სხვა დოკუმენტებიც ან ვადა გაუგრძელონ მათ, აგრეთვე აწარმოონ ყველა სხვა მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია კონსულის დამნიშნელი სახელმწიფოს მოქალაქეთა აღრიცხვასა და დოკუმენტირებასთან.

2. კონსულები აძლევენ თავიანთ ან უცხოელ მოქალაქეებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს ვიზებს კონსულის დამნიშნელ სახელმწიფოში შესვლასა და გამოსვლაზე.



3. კონსულებს შეუძლიათ, რამდენადაც კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს კანონმდებლობა მათ საამისო უფლებას აძლევს, შეადგინონ თავიანთი სახელმწიფოს მოქალაქეთა დაბადებისა და გარდაცვალების აქტები. მათ შეუძლიათ მიიღონ განცხადებები და შეადგინონ დოკუმენტები ქორწინების შესახებ, თუ ორივე პირი, რომელიც ქორწინდება, კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქეა.

მის მიერ შესრულებული ქორწინების შესახებ კონსული აცნობებს კონსულის სამყოფელ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, თუ ამას მოითხოვს ამ სახელმწიფოს წესები.

კონსულებს შეუძლიათ მოახდინონ განქორწინების რეგისტრაცია, თუ ასეთი განქორწინება მოახდინა კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა.

ზემოაღნიშნული არ ათავისუფლებს დაინტერესებულ პირებს იმ მოვალეობისაგან, რომ გააკეთონ შესაბამისი განცხადებანი და შეასრულონ შესაბამისი რეგისტრაცია კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კანონების მიხედვით.

**მუხლი 18**

კონსულებს შეუძლიათ მოიწვიონ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქენი, აგრეთვე საკონსულოებში ან თავიანთ ბინებში, თავისი სახელმწიფოს მოქალაქეთა ბინებში და ამ სახელმწიფოს აღმით მოცურავე გემებზე აწარმოონ შემდეგი მოქმედება:

ა) მიიღონ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქეთა განცხადებები და დაამოწმონ ისინი;

ბ) შეადგინონ, დაამოწმონ და შესანახად მიიღონ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქეთა ანდერძები და სხვა ცალმხრივი იურიდიული აქტები და ანალოგიური განცხადებანი;

გ) შეადგინონ და დაამოწმონ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის დადებული გარიგებანი, რამდენადაც ასეთი გარიგებები არ ეწინააღმდეგება კონსულის სამყოფელ სახელმწიფოს კანონებს, კონსულს არ შეუძლია შეადგინოს ამ დაამოწმოს გარიგებები კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებაზე ქონებრივი უფლების დადგენის ან განსხვისების შესახებ;

დ) შეადგინონ ან დაამოწმონ გარიგებები კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქეთა და კონსულის სამყოფელ სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის, რამდენადაც ეს გარიგებები ეხება მხოლოდ იმათ უფლებებსა და ინტერესებს, ვინც კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება, ან იმ საქმეებს, რომლებიც უნდა შესრულდეს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმ პირობით, რომ ეს გარიგებები არ ეწინააღმდეგება კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს კანონებს;

ე) დაამოწმონ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქეთა ხელმოწერა დოკუმენტებზე; ლეგალური გახადონ დოკუმენტები, რომლებიც

გაცემულია კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს ან კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფალთა ან თანამდებობის პირთა მიერ, აგრეთვე მონ ამ დოკუმენტების ასლები;

ვ) დაამოწმონ დოკუმენტების თარგმანები, რომლებიც გაცემულია კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს ან კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფალთა და თანამდებობის პირთა მიერ;

ზ) მიიღონ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქეთა დოკუმენტები, ფული, ფასეულობა, სამემკვიდრეო და სხვა ქონება.

კონსულის მიერ მიღებული ფული და საგნები შეიძლება გატანილ იქნას კონსულის სამყოფელი სახელმწიფოდან მხოლოდ ამ სახელმწიფოს წესების შესაბამისად;

თ) შეასრულონ სხვა მოქმედება, რომლებიც შეიძლება დაეკისროს მათ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კანონებს.

### მუხლი 19

18 მუხლში აღნიშნული აქტები, დოკუმენტები, მათი ასლები, თარგმანები ან ამონაწერები, რომლებიც შეადგინა ან დაამოწმა კონსულმა ოფიციალური ბეჭდის დასმით, კონსულის სამყოფელი სახელმწიფოში განიხილება როგორც აქტები, დოკუმენტები, ასლები, თარგმანები და ამონაწერები, რომელთაც ისეთივე იურიდიული მნიშვნელობა და დამამტკიცებელი ძალა აქვთ როგორც ექნებოდათ, რომ ისინი შეედგინათ, გადაეთარგმნათ ან დაემოწმებინათ კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალთ და დაწესებულებებს.

მაგრამ ზემოჩამოთვლილი აქტები, დოკუმენტები, ასლები, თარგმანები ან მათი ამონაწერები ლეგალიზებულ უნდა იქნას, თუ ამას მოითხოვს კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კანონები.

### მუხლი 20

1. თუ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქე გარდაიცვალა, კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები აცნობებენ ამას შესახებ უშუალოდ კონსულს, რომლის საკონსულო ოლქის ტერიტორიაზეც მოქალაქე გარდაიცვალა, უგზავნიან კონსულს ამონაწერს გარდაცვლილთა წიგნიდან, აგრეთვე ყველა მონაცემს, რომელიც გააჩნიათ გარდაცვალებულის მემკვიდრეობის თაობაზე და მემკვიდრეობის შეფასების შესახებ, მემკვიდრეებისა და სხვა პირთა არსებობის შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ მემკვიდრეობაზე, თუ ისინი ცნობილი არიან, მათი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, აგრეთვე გარდაცვალებულის ანდერძის არსებობის შესახებ.

2. იმ შემთხვევაში, თუ კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო გაიგებს, რომ მემკვიდრეობის საქმეში, რომელსაც იგი აწარმოებს, დაინტერესებულია კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქე, იგი აცნობებს ამის შესახებ ამ სახელმწიფოს კონსულს.



კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქის მემკვიდრეობის მიმართ კონსულებს აქვთ შემდეგი უფლებები და შეუძლიათ ეს უფლებები განახორციელონ თვითონ ან თავიანთ რწმუნებულთა მეშვეობით:

ა) მონაწილობა მიიღონ მემკვიდრეობის აღწერაში და შესაბამისი ოქმის ხელმოწერაში;

ბ) ურთიერთობა იქონიონ კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფლებთან ღონისძიებათა მისაღებად იმ მიზნით, რომ არ მოხდეს სამემკვიდრეო ქონების დაზიანება ან მოსპობა.

მუხლი 22

1. მოძრავი ქონება, რომელიც დარჩა კონვენციის დამდები ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე კონვენციის დამდები მეორე მხარის მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, გადაეცემა იმ სახელმწიფოს კონსულს, რომლის მოქალაქეც იყო გარდაცვალებული, რათა მოეპყრან მას კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს კანონების მიხედვით.

2. ამ მუხლის 1 პუნქტი არ იქნება გამოყენებული:

ა) თუ იქვესი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის მიმცემის გარდაცვალების შემდეგ პირი, რომელიც აცხადებს უფლებას მემკვიდრეობაზე ან მემკვიდრეობის ნაწილზე, ან მემკვიდრეობის მიმღები, რომლის საცხოვრებელი ადგილი იმყოფება კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მოითხოვს რომ საქმე მემკვიდრეობის შესახებ აწარმოოს კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტურმა სასამართლომ. ამ შემთხვევაში საქმე მემკვიდრეობის შესახებ იწარმოებს კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს კანონების მიხედვით.

ამ პუნქტის დებულება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილი მუდმივად ცხოვრობდა კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

ბ) ვიდრე არ იქნება მოწესრიგებული ყველა ვალდებულება, რომელიც ამ მოძრავ ქონებას აქვს, თუ 6 თვის განმავლობაში მემკვიდრეობის მიმცემის გარდაცვალების შემდეგ მათ შესახებ განცხადებული ექნებათ კომპეტენტურ ორგანოებს.

3. უძრავი ქონების მიმართ გამოიყენება იმ სახელმწიფოს კანონები, რომლის ტერიტორიაზე იმყოფება უძრავი ქონება.

მუხლი 23

1. კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქეთათვის კონსულებს შეუძლიათ დანიშნონ მეურვეები და მზრუნველები. მათ აქვთ უფლება თვალყური ადევნონ მეურვეთა და მზრუნველთა მოქმედებას.

გადაწყვეტილება მეურვის დანიშვნის აუცილებლობის შესახებ გამოაქვს კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს ამ სახელმწიფოს წესების შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში, თუ კონსულებს მოუვიდათ ცნობა იმის შესახებ, რომ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქეთა ქონება დარჩენილ შემთხვევაში თვალყურედ, მათ შეუძლიათ დანიშნონ ქონების მმართველი.

## მუხლი 24

1. კონსულს და საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირებს შეუძლიათ გაუწიონ დახმარება და ხელი შეუწყონ გემებს, რომლებიც ნაოსნობენ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს აღმით და შევიდნენ კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს წყლებში მისი საკონსულო ოლქის ტერიტორიაზე.

გემის კაპიტანს და გემის ეკიპაჟს შეუძლიათ ურთიერთობა იქონიონ კონსულთან და საკონსულო სამსახურის თანამდებობის პირებთან.

2. იმ შემთხვევაში თუ კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოებს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს განზრახული აქვთ მიიღონ რაიმე იძულებითი ზომები კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს გემზე, მაშინ ამის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს კონსულს, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა დაესწროს ამ მოქმედებას. ეს დადგენილება გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ გემის ეკიპაჟის წევრები დაკითხული უნდა იქნან ნაპირზე ნავსადგურის ადგილსამყოფელის ხელისუფალთა მიერ. თუ შეტყობინება არ შეიძლება მოხდეს მოქმედების დაწყებამდე მისი განსაკუთრებული სასწრაფოობის გამო, მაშინ იგი უნდა მოხდეს ერთდროულად მოქმედების დაწყებასთან ან უკიდურეს შემთხვევაში თვით მოქმედების მსვლელობაში.

თუ კონსული არ ესწრებოდა სამსახურებრივ მოქმედებას, სასამართლოები და კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს სხვა ორგანოები კონსულს სასწრაფო წესით მისცემენ ინფორმაციას რაც შეიძლება ფართო მოცულობით საქმის ხასიათის გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის 2 პუნქტის დადგენილება არ ეხება გემის, ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთა საბაჟო, საპასპორტო და სანიტარულ კონტროლს.

## მუხლი 25

თუ კონსულის დამნიშვნელი სახელმწიფოს გემი განიცდის მარცხს ან ავარიას კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს წყლებში, ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები ამის შესახებ რაც შეიძლება მალე შეატყობინებენ შესაბამის კონსულს და აცნობებენ მას, რა ზომები იყო მიღებული ან იქნება მიღებული გემზე ადამიანების სიცოცხლის, გემისა და ტვირთის გადასარჩენად ან საფრთხის ასაცილებლად.

კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები გაუწევენ კონსულს დახმარებას იმ ღონისძიებათა მიმართ, რომლებსაც იგი ახორციელებს გემის მარცხთან ან ავარიასთან დაკავშირებით.



ამ კონვენციის დებულებანი, რომელნიც შეეხებიან ნაოსნობას ზღვაზე და მდინარეზე, შესაბამისად იქნება გამოყენებული საპაერო ტრანსპორტის მიმართ, იმ დებულებების გამოკლებით, რომლებიც ეწინააღმდეგება კონვენციის დამდები ორივე მხარისათვის საეალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დასკვნითი დადგენილება

მუხლი 27

ამ კონვენციის დადგენილება კონსტულების უფლება-მოვალეობათა შესახებ გამოიყენება კონვენციის დამდები მხარეების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა თანამშრომლობისადმი, რომელთაც დაკისრებული აქვთ კონსულის ფუნქციების განხორციელება და რომელთა შესახებ დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ ნოტიო შეატყობინა კონსულის სამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. აღნიშნული პირების მიერ კონსულის ფუნქციების შესრულება არ ეხება მათ დიპლომატიურ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს.

მუხლი 28

ეს კონვენცია რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან, რაც მოხდება მოსკოვში.

კონვენცია იმოქმედებს ექვსი თვის გავლამდე იმ დღიდან, როცა კონვენციის დამდები ერთ-ერთი მხარე შეატყობინებს კონვენციის დამდებ მეორე მხარეს, რომ მას სურს შეწყვიტოს მისი მოქმედება.

დადებულია ბელგრადში 1960 წლის 21 ივლისს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და სერბულ-ხორვატულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის რწმუნებით  
ი. ზამჩაშვილი.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო  
რესპუბლიკის პრეზიდენტის  
რწმუნებით  
ლ. რადოვანოვიჩი.

\* \* \*

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1961 წლის 26 ივნისს; იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1961 წლის 30 მაისს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1961 წლის 2 აგვისტოს.

378

ლიტვის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საპარლამენტო კომისიის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საპარლამენტო კომისიის აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სისამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაჩვენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961 წლის 1 სექტემბრიდან ე. ი. რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების მომენტიდან:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 23 იანვრის დადგენილება „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 4, მუხლი 44);
2. „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების მუხლი № 3 (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 45, მუხლი 377);
3. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 სექტემბრის დადგენილება „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის-17 ივლისის დადგენილების შეცვლის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 59, მუხლი 251);
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულება „ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სამოქალაქო და შრომის კანონმდებლობის დროებით გამოყენების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 46) რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების გამოყენების ნაწილში;
5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 9 აპრილის ბრძანებულება „სატვირთო მატარებლებით თვითნებური მგზავრობისათვის და





საქიროების გარეშე გასაჩერებელი ონკანით მატარებლის თვითნებურად ჩერებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წელი, № 16);

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 2 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნებით უკანონო დაჯილდოებისათვის, ორდენების, მედლების და სამკერდე ნიშნების მითვისებისათვის და დაჯილდოებულ პირთა მიერ მათი სხვა პირებზე გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 18);

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

8. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

9. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

10. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

11. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულება „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (გაზეთი „სოვეტსკაია ლიტვა“ 1949 წლის 6 იანვარი, № 4);

12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 14 თებერვლის ბრძანებულება „ქვანახშირისა და ფიქალის შახტებში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

13. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

14. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წინახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-

დიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მუხლი 6 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 1);



15. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების მიერ საპატიმროებიდან ვადამდე და ვადამდე პირობით გათავისუფლების თაობაზე საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

16. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 7) იმ ცვლილებებით, რომლებიც შეტანილია 2 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებისა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო-საოლქო სასამართლოების და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებასა და „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეთა განხილვის წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 17);

17. „მოხეტიალე ბოშების შრომაში ჩაბმის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულების მუხლი 3 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წელი, № 21);

18. „სატრანსპორტო სასამართლოების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის კანონის გამოყენების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 29 მარტის დადგენილების მუხლი 1 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 8) იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსჯადობის განსაზღვრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 22 აგვისტო.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**379** იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც დაკავშირებულია ლიტვის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან

• ლიტვის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ 1961 წლის 1 სექტემბრიდან სამოქმედოდ შემოიღება ლიტვის სს რესპუბლიკის სისხლის სამართ-

ლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად, 1961 წლის 1 სექტემბრიდან სასამართლოებმა სასჯელის ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1961 წლის 1 სექტემბრიდან ძალადაკარგულად ცნობილი სსრ კავშირის კანონების მიხედვით დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია ლიტვის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოიყვანონ ლიტვის სს რესპუბლიკის 1961 წლის 26 ივნისის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მსუბუქი ზომები.

2. ნება მიეცეს ლიტვის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დააწესოს, რომ ლიტვის სს რესპუბლიკის 1961 წლის 26 ივნისის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებისას სასჯელის ზომის შემსუბუქება არ იქნას გავრცელებული:

იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის;

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე;

იმ პირთა მიმართ, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი და რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგენენ გამოსწორების ვზას — ბოროტად არღვევენ რეჟიმს ან სისტემატურად არიდებენ თავს სამუშაოს, ან ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას,

თუ განაჩენები ამ პირთა მიმართ ძალაში შევიდა 1961 წლის 1 სექტემბრამდე, ე. ი. ლიტვის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალდებულონ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები უზრუნველყონ სასამართლოებისათვის, რომელთაც გამოიტანეს განაჩენები, საჭირო მონაცემების წარდგენა იმ პირებზე, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან ლიტვის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და იხდიან სასჯელს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 22 აგვისტო.



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**380** დიდოსტატ მ. მ. ბოტვინიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და თვალსაჩინო სპორტული მიღწევებისა და საბჭოთა საკადრაკო სკოლის განვითარებაში დამსახურებისათვის დიდოსტატი მიხეილ მოსეს ძე ბოტვინიკი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 16 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**381** აკადემიკოს ა. ა. ტროფიშუკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და გეოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად აკადემიკოსი ანდრია ალექსის ძე ტროფიშუკი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 16 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**382** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის — სსრ კავშირის მინისტრის ლ. რ. კორნიეცის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურების აღსანიშნავად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი ლეონიდ რომანის ძე კორნიეცი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 22 აგვისტო.



**383** საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახლხო რაზმის წევრის ა. მ. შოსტალის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ბოროტმოქმედის დაკავების დროს თავგანწირული მოქმედებისათვის ნებაყოფლობითი სახლხო რაზმის წევრი ანდრია მიხეილის ძე შოსტალი დაჯილდოებულ იქნას მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**384** მილიციის სერჟანტ ა. გ. კოლესნიკის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მამაცობის გამოჩენისათვის მილიციის სერჟანტი არკადი გრიგოლის ძე კოლესნიკი დაჯილდოებულ იქნას წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 აგვისტო.

### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიბეაღი გადასცა ცეილონის საბანგაო და სრულუფლებიანა ელჩა ტ. ზ. სუბასინგხე

ა. წ. 15 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კრემლში ცეილონის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ტიკირი ბანდა სუბასინგხე, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდა საელჩოს პირველი მდივანი ე. რ. აპატურაი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტი-

ნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებების გამგეობის მოვალეობათა შემსრულებლები ი. მ. ხარჩენკო, კ. ნ. კოლიჩევი.



ლ. ი. ბრეჟნევი და ტ. ბ. სუბასინგხემ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი საუბარი ჰქონდა ტ. ბ. სუბასინგხესთან. საუბარს ესწრებოდნენ ა. ა. ანდრეევი და ვ. ს. სემიონოვი.

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**385** „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულებაში დამატებითა შეთანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულებაში შეტანილ იქნას დამატებანი:

1. ბრძანებულების პირველ მუხლს სიტყვების „სამიდან თხუთმეტ დღე-ღამემდე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან ჯარიმას ათიდან ოც მანეთამდე“ და ჩამოყალიბდეს ეს მუხლი შემდეგი რედაქციით:

„დაწესდეს, რომ წვრილმანი ხულიგნობა გამოიწვევს პატიმრობას ვადით სამიდან თხუთმეტ დღე-ღამემდე ან ჯარიმას ათიდან ოც მანეთამდე, თუ ეს ქმედობა თავისი ხასიათით არ იწვევს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228 მუხლით გათვალისწინებულ სასჯელს“.

2. ბრძანებულების მეორე მუხლს დაემატოს მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსით:

„მასალები იმ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნობა, პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით შეიძლება გადაეგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომელთა კოლექტივებსა და ამხანაგურ სასამართლოებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოსაყენებლად“.

3. ბრძანებულების მესამე მუხლს დაემატოს მეორე და მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსით:

„იმ შემთხვევაში, თუ წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებული თავს აარიდებს ფიზიკურ სამუშაოებს, პატიმრობაში ყოფნის დროისათვის

კვების ღირებულება მას დაეკისრება სახალხო მოსამართლის დადგენილებით.  
წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებულ პირთა შრომითი გამოყენების ორგანიზაცია დაეკისროთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი კომიტეტების აღმასრულებელ კომიტეტებს“.

4. დამატოს ბრძანებულებას მეოთხე და მეხუთე მუხლები შემდეგი შინაარსით:

„4. ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში გამოჩენა, თუ მას მოსდევს საზოგადოებისადმი უპატივცემლობა, გამოიწვევს ჯარიმას სამიდან ხუთ მანეთამდე, რომელსაც ადებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

5. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ დარღვევისათვის პასუხისგებაში მიეცემა პირები, რომლებსაც შეუსრულდათ 16 წელი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდათაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 18 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**386** ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების სახალხო სა-  
სამართლოების გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების გაერთიანებასთან დაკავშირებით გაერთიანდეს ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების სახალხო სასამართლოები ერთ — ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოდ.
2. ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლო განისაზღვროს ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონებში ადრე არჩეულ 4 სახალხო მოსამართლისა და 280 სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდათაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 18 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**387** „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო  
წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ უმაღლესი ეკონომიური განათლების მქონე ყველა დარგის ეკონ-

ნომისტებს, რომლებიც სპეციალობის მიხედვით მუშაობენ არა ნაკლებად  
წლისა და მიუძღვით თვალსაჩინო დამსახურება.



3. საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების პირველ  
განყოფილებას დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ დამსახურებული  
ეკონომისტი“, ხოლო ამავე დებულების მეორე განყოფილებას ამ ბრძანებუ-  
ლების მე-2 პუნქტი 25-ე პუნქტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბაღდაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 23 აგვისტო.

### განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**388** საბჭოთა არმიის ლვოვის რუსული დრამატული თეატრის კო-  
ლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
საკაბიო სიბელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში გასტროლების წარმატებით მოწყობი-  
სათვის საბჭოთა არმიის ლვოვის რუსული დრამატული თეატრის კოლექტივი  
დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სა-  
პატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბაღდაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**389** საბჭოთა არმიის ლვოვის რუსული დრამატული თეატრის მუ-  
შაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
საკაბიო სიბელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში გასტროლების წარმატებით მოწყობისა-  
თვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-  
მის საპატიო სიგელით საბჭოთა არმიის ლვოვის რუსული დრამატული თეატ-  
რის მუშაკები:

1. ავეტის ქრისტეფორეს ძე ალასიანცი — თეატრის უფროსი
2. ვასილ ალექსის ძე ალექსანდროვი — მსახიობი
3. არკადი ივანეს ძე არკადიევი — უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, მსა-  
ხიობი
4. კირა სერგის ასული ბაიბაკოვა — მსახიობი



5. ზინაიდა ნიკოლოზის ასული **დებტიაროვა** — უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი, მსახიობი
6. ალექსანდრე ვასილის ძე **ინოზემცევი** — მსახიობი
7. ლუბოვ ფილიპეს ასული **კალაჩევსკაია** — მსახიობი
8. როზალია ვასილის ასული **კოლესოვა** — მსახიობი
9. ვლადიმერ სერგოს ძე **ლიზოგუბი** — თეატრის მთავარი რეჟისორი
10. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ლოსიკოვი** — თეატრის სამხატვრო-სა-დადგმო ნაწილის გამგე
11. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ლუკიანენკო** — მსახიობი
12. ალექსი მათეს ძე **მაქსიმოვი** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, მსახიობი
13. იური ანდრიას ძე **სატაროვი** — მსახიობი
14. ვიტალი ვასილის ძე **სოკოლოვი** — მსახიობი
15. სერგო ვასილის ძე **ხარჩენკო** — უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი, მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. პელღიაშვილი**.

ქ. თბილისი. 1961 წლის 26 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**390 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

მეშახტის დღესთან დაკავშირებით და სამთო მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. შალვა ბიქტორის ძე **ახვლედიანს** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ მმართველის მოადგილეს
2. ნიკოლოზ გრიგოლის ძე **ბახტაძეს** — ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების“ გეოლოგიური განყოფილების უფროს ინჟინერ-მარკვეიდერს
3. დავით ივანეს ძე **ბრელიძეს** — ტრესტ „საქმახტმშენის“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს
4. გიორგი ივანეს ძე **გამყრელიძეს** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ დიჰიტროვის სახელობის მალაროთა სამმართველოს მალაროს გამგეს
5. ივანე ნიკოლოზის ძე **გვენცაძეს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს მთავარ ენერგეტიკოსს
6. ალექსანდრე დავითის ძე **გელაშვილს** — ტრესტ „საქნავთის“ გეოლოგიურ-საძიებელი კონტორის მთავარ ინჟინერს.
7. იასონ ნიკოლოზის ძე **ენუქიძეს** — საქართველოს სასსამოტექნიკურ-მხედველობის კომიტეტის ტყვარჩელის რაიონის სამოტექნიკური ინსპექციის უფროსს



8. ბენიამინ ბესარიონის ძე ვაჭარაძეს — საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის კვიისის მდაროთა სამმართველოს დირექტორს
9. ალექსანდრე ლევანის ძე ვარდოშვილს — საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის დირექტორს
10. ვასილ ვიქტორის ძე იოსელიანს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გვირაბების მშენებლობის დირექტორს
11. დავით დომენტის ძე კუჭაიძეს — საქართველოს სსრ სამთამადნო მრეწველობის „საქფეთქმრეწვის“ სამმართველოს მთავარ ინჟინერს
12. აკაკი ნიკოლოზის ძე კობახიძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროს ინჟინერს
13. გიორგი ნიკოლოზის ძე ლოლაძეს — ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების“ მთავარ გეოლოგს
14. კონსტანტინე იაგორის ძე მარდაღეიშვილს — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ მთავარ მექანიკოსს
15. ალექსანდრე გიორგის ძე მალაქელიძეს — ტრესტ „საქშახტმშენის“ ტექნიკური განყოფილების უფროსს
16. გრიგოლ ლავრენტის ძე ნოსელიძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მთავარი ინჟინრის მოადგილეს
17. ემელიან ნესტორის ძე სიხარულიძეს — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ სტალინის სახელობის შახტის მთავარ ინჟინრის თანამშემწეს
18. ბორის ანტონის ძე ფალიაშვილს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს
19. ნიკიფორე ირაკლის ძე ქარქაშაძეს — საქართველოს სახსამთოტექნე-დამხედველობის კომიტეტის ტყიბულის რაიონის სამთო ტექნიკური ინსპექციის უბნის ინჟინერ-ინსპექტორს
20. გერონტი ნესტორის ძე ცვარიანს — ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების“ მმართველის მოადგილეს
21. ვლადიმერ გიორგის ძე ჯალაღონიას — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარ ინჟინერს
22. დიომიდე მაქსიმეს ძე ჯაყელს — საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის მახარაძის მდაროთა სამმართველოს დირექტორს
23. ლუკა ანტიფოს ძე ჭინორიძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ სამთო სამუშაოების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 აგვისტო.



**391** საქართველოს სსრ სამთო მრეწველობის მოწინავე მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეშახტის დღესთან დაკავშირებით და სამთო მრეწველობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. როდიონ ჩაგოს ძე **აჩა** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 6 შახტის გამყვანი
2. მამია ბეგლარის ძე **აბსავა** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 3 შახტის პირველი უბნის გამყვანი
3. მიხეილ ვართანის ძე **ბიგვავა** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 2 შახტის საყელავი მანქანის მემანქანე
4. გიორგი ხარლამპის ძე **ბერიძე** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
5. აკაკი გრიგოლის ძე **გობეჯიშვილი** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ დიმიტროვის სახელობის მალაროთა სამმართველოს მთავარი ინჟინერი
6. ლევან ნიკოლოზის ძე **გაფრინდაშვილი** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ორჯონიკიძის სახელობის მალაროთა სამმართველოს ამწმენდი
7. ნიკოლოზ მიხეილის ძე **გამცემლიძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ორჯონიკიძის სახელობის მალაროთა სამმართველოს მთავარი ინჟინერი
8. გერვასი სიმონის ძე **გოგოლაძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ სტალინის სახელობის მალაროთა სამმართველოს მეზიგე
9. გერონტი ვლადიმერის ძე **გორგაძე** — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ უსაფრთხოების განყოფილების უფროსი
10. გიორგი თომას ძე **ვადაჭკორია** — ახალციხქვანახშირის მალაროთა სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი
11. ანტონ სევერიანეს ძე **ვარდოსანიძე** — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ ლენინის სახელობის შახტის მუშა
12. პეტრე ვასილის ძე **ზამიატინი** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ სტალინის სახელობის შახტის გამყვანი
13. ივანე სიმონის ძე **თადუმაძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ცენტრალური ლაბორატორიის გამგე
14. მიხეილ ისიდორეს ძე **კიკვაძე** — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი
15. გენადი ლევანის ძე **კაპანაძე** — ახალციხქვანახშირის მალაროთა სამმართველოს № 1 შახტის გამყვანი
16. ვალიკო (ვარლამ) რომანოზის ძე **კერესელიძე** — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ ლენინის სახელობის შახტის მუშა
17. კონსტანტინე ლაზარეს ძე **კვინიკაძე** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი ინჟინერი



18. გრიგოლ გერონტის ძე კირკიტაძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ მმართველის მოადგილე
19. ვარლამ ივლიანეს ძე ლეჟავა — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ საგვამო განყოფილების უფროსი
20. დავით ალექსანდრეს ძე ნიკოლაიშვილი — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ მთავარი გეოლოგი
21. არჩილ გიორგის ძე ნიკოლაძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ მთავარი გამამდიდრებლის მოადგილე
22. ვლადიმერ მელიტონის ძე რევიშვილი — ახალციხეკვანახშირის მალაროთა სამმართველოს მთავარი ენერგეტიკოსი
23. მიხეილ დიმიტრის ძე სუშჩევსკი — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ მთავარი მარკშეიდერი
24. ალექსანდრე სტეფანეს ძე ტურძელაძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ საკვლევა-სანორმატივო სადგურის უფროსი ინჟინერი
25. ოთარ იაკობის ძე ფრუიძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს ინჟინერი
26. კაპიტონ ფილიპეს ძე ქობალია — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 3 შახტის მთავარი ინჟინრის მოადგილე
27. კაკო ილიკოს ძე დუღუნეშვილი — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კალინინის სახელობის მალაროთა სამმართველოს გამყვანი
28. შოთა ილარიონის ძე ყურაშვილი — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 6 შახტის მთავარი ინჟინერი
29. ვახტანგ აკაკის ძე ჩაჩუა — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე
30. გრიგოლ ივანეს ძე წოწორია — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 4 შახტის მთავარი ინჟინერი.
31. შოთა ილიას ძე კიპაშვილი — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი ინჟინერი
32. ბორის დარისპანის ძე ჯალაღანია — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ ორჯონიკიძის სახელობის შახტის უფროსი
33. გიორგი ნიკიფორეს ძე ჯაფარიძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი ინჟინერი
34. ლილი იოსების ასული ჯერენაშვილი — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 2 შახტის ვენტილაციის უბნის უფროსის მოადგილე
35. ვლადიმერ მიხეილის ძე ჯიოევი — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ სტალინის სახელობის შახტის მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწინძია.  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიანაშვილი.



საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 509 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან . . . . .	73
ქ. გორიდან . . . . .	3
ქ. რუსთავიდან . . . . .	7
ქ. ქუთაისიდან . . . . .	11
ახალქალაქის რაიონიდან . . . . .	50
ახალციხის . . . . .	23
ბორჯომის . . . . .	9
გორის . . . . .	25
გურჯაანის . . . . .	6
დუშეთის . . . . .	8
ზუგდიდის . . . . .	58
თელავის . . . . .	4
ლანჩხუთის . . . . .	11
ლაგოდეხის . . . . .	13
მაიაკოვსკის . . . . .	13
მცხეთის . . . . .	6
საგარეჯოს . . . . .	65
სამტრედიის . . . . .	21
ცაგერის . . . . .	9
ცხაკაიას . . . . .	11
წალკის . . . . .	20
ხობის . . . . .	16
ლენინგორის . . . . .	11
ზნაურის . . . . .	4
ჯავის . . . . .	32